

24 საათი

პოლიტიკა

ხალისუფლავისადმი ლოიალურად განწყობილნი "სოციალისტებს" ნუ გამოეხმაურებიან

ირაკლი მინდელის მომავალი პოლიტიკური მეგობარი, პირველ რიგში, მკვეთრად გამოკვეთილი ოპოზიციონერი უნდა იყოს (დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი და ცენტრისტული დამოკიდებულების პარტიები ნუ გამოეხმაურებიან).

A3

აქრონოია

პარის მენარმეაბი ახარკული ხორბლის არასწორ რეალიზაციაში

პურის მენარმეა კავშირი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამერიკული ხორბლის არასწორად განაწილებაში ადანაშაულებს. ისინი ხორბლის რეალიზაციის პროცესის გამჭვირვალობას და წვრილი მენარმეებისათვის მასზე ხელმისაწვდომი პირობების შექმნას მოითხოვენ.

A4

უხუოთი

ჭორჭ ბუმი: მისარს სიმატელა

აშშ-ს ხელისუფლება მზად არის, დაინყოს დამოუკიდებელი გამოძიება იმ სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებისა და აღმინისტრაციაში გავრცელების თაობაზე, რომელსაც ერაყში ომის დაწყებამდე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო პრეზიდენტს აწვდიდა.

A5

საზოგადოება

ხუთი "ბრალმდებელი" ერთი "ბრალმდებლის" ნინაღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ ყოფილ მინისტრთან შესახვედრად ჟურნალისტებიც იხმო და მათი თანდასწრებით ლა დებატები გამართა. ცოტა ხანში დებატებმა დაკითხვის ხასიათი მიიღო და ყოფილი მინისტრი ხუთი "ბრალმდებლის" ნინაღმდეგ "ბრალდებულის" როლში აღმოჩნდა.

A6

საბარტალი

საქანონმდებლო ინსტიტუტის „ქანონიერი ქარდაბის“ ნინაღმდეგ

შინაგან საქმეთა მინისტრი "ქანონიერი ქურდების" დაკავების პროცედურის გაადვილებას ცდილობს. გიორგი ბარამიძე ქურდულ მენტალიტეტსა და ამ მენტალიტეტის მატარებლებს შეუროგებელ, დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს და "ქანონიერი ქურდების" ნინაღმდეგ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის.

A7

აბინდი

თბილისი	9	☀
ქუთაისი	9	☁
ბათუმი	8	☀
სოხუმი	7	☀
ფოთი	8	☁
თელავი	7	☀
ზუბდიდი	9	☁
ბორი	4	☀
ახმეტა	7	☀
ჰიათურა	6	☀

უხუოარი ვალუის ოფიციური კარსი ლართან მიმართულებით	
აშშ დოლარი	2.1100
ევრო	2.6105
გირვანქა სტერლ.	3.8195
რუბლი	0.0741

ზავი

კონსტიტუციურ ცვლილებათა შეთანხმებული პროექტი პარლამენტში ამ კვირაში შევა

პარკო თევაბაძე

გუშინ, ვარდების რევოლუციის სამი ლიდერი კრიტიკულ მომენტში ზავზე შეთანხმდა, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ზურაბ ჟვანიას და ნინო ბურჯანაძის თანხმობას იძულებითად მიიჩნევს.

ასეა თუ ისე, საბოლოოდ, პოლიტიკურ მიმომხილველთა ნინასწარმეტყველება სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას განხეთქილების შესახებ, რომელსაც კონსტიტუციურ ცვლილებებს უკავშირებდნენ, არ გამართლდა. გუშინ შეთანხმებული ცვლილებათა პროექტის მიხედვით, პარლამენტი ძლიერ ორგანოდ რჩება. მას ნებისმიერ მომენტში, ხმათა სამი მეხუთედით მთავრობის სრული შემადგენლობის დათხოვნა შეეძლება. თავის მხრივ, პრეზიდენტის ძალაუფლება საკანონმდებლო ორგანოზე ვრცელდება, ანუ პროექტი პარლამენტის დათხოვნის მექანიზმსაც შეიცავს. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის განმარტებით,

ბაზრქაძელაბა A3 ბავრდუბა



მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, ისინი ერთ ნავში რჩებიან.

რატომ არ შეიძლება პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შენობა

ნიკო მელიქაძე
სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ თავისი განზრახვა განაცხადა. ამ ცვლილებათა პროექტს საზოგადოება ვერ არ იცნობს. ქვეყნის ფუნქციონირება ახალი კანონის თაობაზე წარმოდგენას საზოგადოება ამ ცვლილებათა შესახებ პოლიტიკოსების მხოლოდ ცალკეულ გამოხატულებათა და ზოგადი მინიშნებების საფუძველზე იქმნის. ამიტომ,

პროექტის აკარგინაობაზე პროფესიული მსჯელობა ვერ შეუძლებელია. მაგრამ, ამ "ინფორმაციული ვაკუუმის" მიუხედავად, პოლიტიკოსთა რიტორიკა მაინც ბევრის მთქმელია; საყურადღებოა არა იმდენად ის, თუ "რა" იცვლება, რამდენადაც - "როგორ" ხდება ცვლილებათა გაზრება და რას შეიძლება ამისაგან ველოდეთ; ეს უკანასკნელი დიდ შემოთებას იწვევს. კონსტიტუცია ხალხის კულტურული ნორმებისა და ზნეობრივი არჩევანის შესაბამისად სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის მოწყობისა და მისი გამოყენების


დაფუძნებაა. იყო დრო, როდესაც ამ ამოცანის გადაწყვეტას ზნეობრივ და გონიერ ხელისუფალში ხედავდნენ. თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნებში ეს პრობლემა ხელისუფლების ისეთი მოწყობის ფორმით წყდება, რომელშიც ზნეობრიობა და გონიერება თავად სისტემის თვისება ხდება, რაც მრავალ პოლიტიკურ სუბიექტთა შეთანაწყობილ ურთიერთობებში გასაგებდება. კონსტიტუციონალისტებმა კარგად იციან, რომ როდესაც კონსტიტუციურ ცვლილებათა მოტივაცია და ლოკური საწყისი,

მაგალითად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება ხდება, საზოგადოება სიკეთეს არ უნდა ელოდეს. საქართველოს ძველი ხელისუფლება არღვევდა, როგორც ზნეობის, ასევე რაციონალური ლოგიკის ნორმებს. მათთან კატეგორიული გამოჯენა იყო ვარდების რევოლუციის ძირითადი ლოზუნგი. კონსტიტუციური ცვლილებები არის პირველი სიღრმისეული სისტემური საკითხი, რომლის გადაწყვეტას ხელისუფლებამ ხელი მოჰკიდა, რაც ზნეობრივ პოლიტიკურ აზროვნებაში მისი პირველი გამოცდაცაა.

ბაზრქაძელაბა A8 ბავრდუბა

ფრთხილად, ბავბვბია!

რეპორტაჟი (ფოტო)კომენტარებით ავტალის არასრულწლოვანთა კოლონიდან



B6

ვარდების რევოლუციის საკონსტიტუციო რევოლუციით გრძელდება: სულ მალე ქვეყნის მოქმედი ძირითადი კანონი ძირფესვიანად შეიცვლება და მმართველობის ახალი სისტემა დაკანონდება, რომლის საფუძველიც პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი გახდება. ახალ საკონსტიტუციო მოდელზე მუშაობა, ძირითადად, დამთავრებულია. საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისიამ გუშინ მას, მთლიანობაში, მხარი დაუჭირა. ახლა სიტყვა პარლამენტზეა.

ბიორბი ასანიშვილი

ვარდების რევოლუცია საკონსტიტუციო რევოლუციით გრძელდება: სულ მალე ქვეყნის მოქმედი ძირითადი კანონი ძირფესვიანად შეიცვლება და მმართველობის ახალი სისტემა დაკანონდება, რომლის საფუძველიც პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი გახდება. ახალ საკონსტიტუციო მოდელზე მუშაობა, ძირითადად, დამთავრებულია. საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისიამ გუშინ მას, მთლიანობაში, მხარი დაუჭირა. ახლა სიტყვა პარლამენტზეა.

საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, საქართველო საპრეზიდენტო მმართველობიდან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე გადავა. კომისიის მიერ მოწინებულ პროექტში პრეზიდენტს მთავრობასა და პარლამენტს შორის არბიტრის ფუნქცია ეკისრება. მას შეუძლია, მთავრობა უაპელაციოდ დაითხოვოს, პარლამენტის გასაშვებად კი მოტივაცია სჭირდება, ანუ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ - პარლამენტი არ დამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას ან სახელმწიფო ბიუჯეტს; უნდობლობას გამოუცხადებს მინისტრთა კაბინეტს.

საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, პრემიერ-მინისტრი საკვანძო ფიგურა ხდება: იგი აყალიბებს კაბინეტს, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს; პრემიერ-მინისტრს შეუძლია, მინისტრთა კაბინეტის

ბაზრქაძელაბა A3 ბავრდუბა

"ზონობანა"

სოფიკო მხანიძე

ბავშვობიდან მახსოვს, საბჭოთა პერიოდში, ქურდული სამყაროს ტრადიციების განსაკუთრებული პოპულარობისას, ჩემს თანატოლ ბიჭებს ერთი თამაში ჰქონდათ - კოგონებს რომ სასაცილოდ არ გეყოფნოდა, თავად კი დიდი სერიოზულობით უდგებოდნენ. "ზონობანა" ერქვა. ეზოში ჩაცუცქეული რამდენიმე ბიჭი ციხის საკანში მყოფი "კანონიერი ქურდების" განსახიერებას ცდილობდა, ერთი კი - საკანში შესული - ახალბედა პატიმრის. არსი თამაშისა კი ის გახლდათ, რომ "ქურდებს" ახალბედა უნდა გამოეცადათ, უფრო სწორად, მოეხერხებინათ და, კრიმინალური სამყაროს ტერმინი რომ ეხმარათ, "გაეფუჭებინათ". თუ მოახერხებდნენ, ხომ შედგებოდნენ ფეხებით, თუ ვერა და, "ახალბედა პატიმარი" საპატიო ადგილს დაიკავებდა წარმოსახვით საკანში, მის როლს კი სხვა მოთამაშე იტვირთებდა.

ბაზრქაძელაბა A7 ბავრდუბა

დობინოს პრინციპი

დაკავებული საბითუმო ბაზრის მეორე ყოფილი გენერალური დირექტორი

სოფიკო მხანიძე

სახელმწიფო დაწესებულებაში სპეცდანიშნულების რაზმის წევრების გამოჩენა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქართველი სამართალდამცველების მიერ ბოლო ხანებში (ყველა საჭირო თუ არც ისე საჭირო შემთხვევაში) აპრობირებული მეთოდით გუშინ საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილე იოსებ ნატროშვილი დააკავეს.

ბაზრქაძელაბა A7 ბავრდუბა

ცესკო სრული შეხადგანლობით მუშაობს



დემიტრი ქიტოშვილი კომისიის მდივნად არჩეულია.

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლევა სრულ შემაჯგნლობით გააგრძელა მუშაობა. ყვედასენებით, რომ ერთი კვირის წინ მისმა ხუთმა, პრეზიდენტის კოორტი დანიშნულმა წევრმა, გადადგომის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. თანამდებობა დატოვა ცენტრალური კომისიის მდივანმა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა დემიტრი ქიტოშვილმაც.

გადადგომების მიზეზად კომისიის წევრებმა ახალი პრეზიდენტის არჩევა დაასახელეს. საქმე ის არის, რომ ისინი ცესკო-ში წინი ბურჯანაძემ დანიშნა. პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის შემდეგ კი მათ საკუთარი პოსტები დატოვეს და განაცხადეს, რომ არ ჰქონდათ მორალური უფლება, საკუთარ თანამდებობებზე დარჩენილიყვნენ.

გერმანიიდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დამფუძნებელი "დაპყარა ნსრკიტი". ორი დღის წინ მან კომისიისი ორი ახალი წევრი - გიორგი ხომერიკი და დავით გურგენიძე დანიშნა, ხოლო უკვე ცესკო-ს ყოფილი წევრები - ზაზა გორიზია, ზურაბ ნონიკაშვილი და კარლო კვიციანიშვილი კომისიაში დააბრუნა.

რაც შეეხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნა, გუშინ ცესკო-ს სხდომაზე გაიმართა არჩევნები და საერთა დადარეგულირებით, ეს პოსტი კვლავც რამდენიმე დღის წინ გადადგარა "ნაციონალმა" დემიტრი ქიტოშვილმა დაიკავა. ასე რომ, საკადრო საკითხები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადაწყვეტილია.

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისია აპირებდა დეკრეტციების ასპინძის საარჩევნო ოლქში 25 ანგარს ჩატარებული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი და კენჭისყრაში გამარჯვებულად "ლეიბორისტი" რამაზ თედრაძე ეცნო. თუმცა, როგორც გაირკვა, ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთ-ერთი საარჩევნო უბნის შედეგები გაუყვეს. ამით უკმაყოფილო "ლეიბორისტიმ" საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს. მანამ, სანამ სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის უფლება არ აქვს, შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცოს.

საგულბეზობა, რომ გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაშკვირვების სტატუსით რეგისტრაციაში გატარებაზე უარი განუცხადა ორ არასამთავრობო ორგანიზაციას - "საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას" და "შალვა რეგულირების სახელობის დამოუკიდებელ ადვოკატთა კოლეჯის". ცესკო-ს ხელმძღვანელობამ უარის მიზეზად ცესკო-ში რეგისტრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნების უგულბებლყოფა დაასახელა.

24 საათი

იყო თუ არა ბანკარკალბა ბარტომეოროზა ბასახლუბის მუასახე?

საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის", როგორც ცნობილია, მოსახლეობაში ხელმძნერებს ახლა ერთბაშად სამი მოთხოვნით ავრცეებს. ეს მოთხოვნებია: აჭარის ავტონომიაში საგანგებო რეჟიმის გაუქმება, უზენაესი საბჭოს დათხოვნა და ვადადელი საპარლამენტო არჩევნების გამართვა. გარდა ამისა, ორგანიზაციის, როგორც რეგიონის, ისე ცენტრალური ხელისუფლების ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელებისადმი, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაც დაურგოვდა. ორგანიზაციის გამგეობის წევრებს ახლა ყველაზე მეტად დღუარდ შევარდნაძის პასუხი აინტერესებთ კითხვაც, რომელიც 23 ნოემბრის შემდეგ განჩადა. ამ მიზნით, ორგანიზაციის გამგეობის წევრების - ლევან ქამადაძისა და ოთარ მიქელაძის ვაჭივადებით, მათ ექსპრეზიდენტისათვის ღია წერილი მიმართავც კი გადაწყვიტეს. კითხვა დაახლოებით ასეთია: **"ბოლო დროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოლდერი სმირად იმეორებს, თითქოს დღუარდ შევარდნაძემ ასლან აბაშიძეს არაერთხელ დააავლა აჭარის მოსახლეობის სხვა ტერიტორიაზე განსახლება. ამგვარი განკარგულების მიუხედავად, როგორ აბაშიძე აცხადებს, საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და პრინციპულად არ შესრულა პრეზიდენტის დავლება."** საზოგადოებრივი ორგანიზაცია პრეზიდენტისაგან იმის დაზუსტებას ითხოვს, მართლა გასცა თუ არა მათ თავის დროზე ამგვარი განკარგულება. **"თუ კი, მაშინ რით იყო ეს განაჩინობებული, თუ - არა, მაშინ დღუარდ შევარდნაძემ, ელემენტარულად, ავტონომიის ოლდერის ცილის ნამება უნდა უარყოს."** მიმართვას ხელს ათი კაცი აწერს.

კიდევ ერთი, რასაც ასლან აბაშიძე თავის დამახსურებად მიითვლის, აჭარის ტერიტორიაზე გვირგვინის დასახეობაა. საზოგადოებრივი ორგანიზაციის გადგომის წევრებსაც აინტერესებთ, მართლა საკუთარი ვაჭივად იხდის თუ არა აბაშიძე ქობულეთსა და ბათუმს შორის გამავალი გვირგვინის შეწყველის თანხებში. პასუხს ისინი კომპეტენტური ორგანიზაციისაგან ითხოვენ. ასევე, ითხოვენ იმის დაზუსტებას, თუ კონკრეტულად რა თანხებზე ზედა ცენტრსა და რეგიონს შორის "ფინანსური გაუგებრობის" წინადაგზე გაჩენილი უთანხმოებისა.

24 საათი

სოხუმი ასლან აბაშიძეს აფხაზური ოჯახების დაცვას სთხოვს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებამ შემოთთებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო. ავთიგამოცხადებულ იმპრესულიკის ვიკე-პრეზიდენტი ვალერი არშმა ითხოვნით მიმართავს აჭარის ოლდერს, დაიცვას რეგიონში მცხოვრები რამდენიმე ათასი აფხაზი "პოლიტიკური გარჩევებისა და ანგარიშსწორებისგან". "ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ბათუმში 10 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა, რომელთაც საკუთარ სამშობლოში ავირთობდნენ. აფხაზები და აჭარის ოლდერი ბათუმში კეთილმოზობლურად ცხოვრობდნენ და ურთიერთობის არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ... ვითარება მხოლოდ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ დაიძაბა. იმედი მაქვს, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს დელეასც რამე არ დაემუქრება", - აცხადებს ვალერი არშმა. **მედია-ნიუსი**

სააკაშვილმა დადებითი შეფასება ირ დაიწარა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის პეტერ ცისკარიშვილის შს მინისტრის მოადგილედ დანიშნვის გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ცისკარიშვილის აღნიშნულ თანამდებობზე დანიშნვა ვაგ ბარამიძის ინიციატივა იყო. "პეტროტანა დაკავშირებით პროცედურულ გაუქმბრობებს ჰქონდა ადგილი, თუმცა მე ხაზს ვუსვამ იმას, რომ პეტრო ძალიან გამოცდილი კადრია. იგი ზოგჯერ საკუთარ გამოცდილებში, რაღაც-რაღაცების ლაპარაკში ძალიან ჩქარაა, მაგრამ ძალიან ერთგული ადამიანია," - აღნიშნა სააკაშვილმა. მისი განცხადებით, მთავარია ცისკარიშვილმა სპეცილოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ისე კი, საჭიროა შს სამინისტრო ახალი და ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტდეს. მიხეილ სააკაშვილმა ვაგ ბარამიძის მიმართაც დადებითი შეფასებები გააკეთა და აღნიშნა, რომ ბარამიძე ძალიან კარგად მუშაობს და მას ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეუნყოს ხელი. **ინტერ-პრეს**

ყველა ერთის წინააღმდეგ

"სახალხო რაზმელები", რომელთათვისაც იარაღის დარიგების შესახებ დღეს აჭარის საკითხში გარკვეული ყველა ადამიანი საუბრობს, ახლა არ ვაჩენილან. სამოქალაქო თავდაცვის რაზმი, იგივე "სახალხო რაზმელები", 1992 წლის იანვარში გამოჩნდნენ - როცა ავტონომიის ხელმძღვანელობას რეგიონში თენგიზ კიტოვანის ერთგული გეარდის შესვლა აფრთხოდა. იარაღი მაშინ ნათესაური თუ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ერთგულების ნიშნით დარიგდა, ჯერ ქობულეთში, ხელგაუარში, შემდეგ კი - მთელი აჭარის ტერიტორიაზე. რაზმი ოპოზიციურად განწყობილი ხალხის დასათრგუნად შეიქმნა. "ჩვენი აჭარის" წარმომადგენელთა თქმით, "სახალხო რაზმელები" ასლან აბაშიძის ხელისუფლების ხერხემალს წარმოადგენდნენ. პერიოდულად ეწყობოდა მათი შეიარაღებული მარშები, განსხვავებული პოზიციის მოქნეთა ცემა-ტყევა.

ახლა რეგიონში იარაღი, ამ "სახალხო რაზმელების" გარდა, უკვე მონკავშირის წევრებსა და საბაჟოს თანამშრომლებსაც ჩამოურიგდათ. **"საბაჟოს თანამშრომლები ის ხალხია, ვისაც ამ ხელისუფლების წყალობით ყველაზე მეტი აქვს მოპოვებული. მიუხედავად იმისა, რომ ახლა "სახალხო რაზმელები" რიცხვიც სერიოზულად გაიზარდა და იარაღი კიდევ სხვა ბერესაც ჩამოურიგეს, სამოქალაქო ომის და დაპირისპირების შიში მაინც არ მაქვს. გარდა იმისა, რომ თითოეული უკან იფხავს და ახლოდროინდელს, ბათუმში უკვე რადიკალურად არის შეცვლილი. ძალზე ცოტა ხალხი, ვისაც ამ ხელისუფლების დასაცავად იარაღი გამოსვლის სურვილი აქვს,"** - აცხადებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ჩვენი აჭარა" წევრი თაბუკ დიასაშიძე. მართლაც, სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე არარეალური ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ აჭარაში მაინც სერიოზული "რეკონსტრუქციული" სამუშაოებია ჩასატარებელი. საზოგადოებრივი მოძრაობის "დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის" წევრები ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ძირითადად - მაკალმთან რაიონებში აგიტაციას ატარებენ, რომ **"ძველი სახელმწიფო დროშის ხუთჯერაინო მშველის შემდეგ მაშაძიანი მოსახლეობას ძალიან შეუცვლიან რწმენას, დაუნგრევენ სამოცველებს,"** ამ ფაქტს აჭარაში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ადასტურებენ.

დღეს "შეტანი პალატი" "ჩვენი აჭარა" და "დემოკრატიული აჭარა" საზოგადოებას გაერთიანების შესახებ ამცნობენ. გაერთიანებაში, ასევე, შეივლენ მოძრაობა "დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის" და ახალგაზრდული ორგანიზაცია "აფხაროსი". ამგვარი გაერთიანება მით უფრო საინტერესოა იმ მხების ფონზე, რომელიც "დემოკრატიული აჭარა" დაფუძნების დღეს "ნაციონალ" დავით ბერძენიშვილის მკვერონი განცხადებების გამო განჩადა. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დასაკენეს, რომ ძალა ერთობაშია და "ყველა ერთის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს". გაერთიანებას სახელად "გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარა" დაერქმევა და სამი თანათავჯდომარე ყველგანა: მიხეილ მახარაძე, კობა ხაზაძე და დეგარდ სურმაძე.

ლელა მჭედლი

მანანის ბამბაცხაბულთა ჭბუფის ნეპრაზი ბატაცხაბულ მანქანებს აფხაზეთში ყიდენ

შს სამინისტროს მცხეთა-მთიანეთისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ნატახტორის საგუბარეო ავტორანსპორტის განტაცველობა ორგანიზებული დანაშაულებრივ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, 35 წლის ზესტაფონელი ვასლო კოგზირიძე დააკავეს.

შს-ს პრესსამსახურის ცნობით, კოგზირიძე სხვა პირებთან ერთად იტაცებდა უცხოური მარკის ავტომობილებს და მათ ამ საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ყიდდა, ან თავად გატაცებულ ავტომობილის მფლობელებს გამოასყიდის სახით საძალადე ვაუტს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მათ უკვე გამოვლენილი აქეთ კოგზირიძის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულებრივ ფაქტი. ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები კოგზირიძის პარტნიორთა დაკავების მიზნით.

21 იანვარს მან, "გიაოსთან" და "გენოსთან" (მათი ზუსტი ვინაზა დიდგდება) ერთად, ტექნიკური საშუალებების (ენ. "მტკიცეკების") გამოყენებით ვაიტაცა თბილისში დილმის მასივში მცხოვრებ სეველანა როდიონოვას კუთვნილი ავტომობიანა "ბმე".

ასევე დადგინდა, რომ 2003 წლის 28 აპრილს კოგზირიძემ, ვინმე "ზვიადმა" და "მერაბმა" თბილისში, კუპიის სასფლოს მიმდებარე ტერიტორიიდან ვაიტაცეს ვაისუბნის დასახლებაში მცხოვრებ ვლადიმერ დავითიანის კუთვნილი ავტომობიანა "ვაზ-2106", რომელიც ვადაყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე და მიჰყიდეს მათთვის უცნობ პიროვნებას 500 დოლარად.

2003 წლის 14 აგვისტოს კოგზირიძემ ზესტაფონში, "ფეროშენადნობი" ქარხნის ავტოსადგომიდან ვაიტაცა აღმაშენებლის ქუჩის №27-ში მცხოვრებ თეიმურაზ ბირბიტაძის კუთვნილი ავტომობიანა "ოპელ-ომეგა", რომელიც ავტოვარის შედეგად დააზიანდა ვინმე ურუქში და იქვე დატოვა.

2003 წლის 5 ნოემბერს კოგზირიძემ და ვინმე რატიმ თბილისში, 31-ე საავიაციო ქარხნის ავტოსადგომიდან ვაიტაცეს მოსკოვის გამზირზე მცხოვრებ ბორის ნაზლიძის კუთვნილი ავტომობიანა "ბმე", რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაყიდეს ათას 600 აშშ დოლარად. ამ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო დეპარტამენტის ისანე-სამგორის სამსახურში აღძვრებულა სისხლის სამართლის საქმე. ავტომობიანა დაუბრუნდა მფლობელს.

2003 წლის 15 სექტემბერს კოგზირიძემ, ვინმე ილომ და ლევანმა წინასწარი შეთანხმებით, თბილისში, ვარკეთილში მდებარე ერთ-ერთი ავტოსადგომიდან ვაიტაცეს კალოუზების ქუჩაზე მცხოვრებ ზურაბ ახალაიას კუთვნილი ავტომობიანა "ოპელ-ვეტარა", რომელიც მათ 500 აშშ დოლარის გამოძალვის შემდეგ მფლობელს დაუბრუნეს. **24 საათი**

საკანსო დავალიანების ბრაფიკი ბარისტოვის მოზადება

ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე და ვასული პერიოდის მაკენსი დავალიანებების ნაწილის დაფარვის გრადეის საკენსი წარმოადგენს. საზოგადოებას წარუდგენენ საკენსიო დავალიანების ერთი მეოთხედის ვასტუმრების ზუსტ დროს", - აცხადებს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიელი. მისივე თქმით, დავალიანებების ვასტუმრებისას პრიორიტეტი საკენსიო დავალიანებებს მიენიჭება, ხოლო შემდგომ — შემწობებს და სახელმწიფო დავალიანებებს. სულ ამ წლებების განმავლობაში დაფარვილი დავალიანებების დაფარვას სახელმწიფო ბიუჯეტი ორ წელიწადში შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე სრულად დაფინანსდა დეკემბრის თვის პენსიები და დაიწყო იანვრის თვის დაფინანსება. **მედია-ნიუსი**

ბრიონის ავიდავია თვალბი

კახეთის რეგიონის რიგ სკოლებში საგანგაშო მდგომარეობა გამოცხადდა. გრობისა და მწვანე რესპირატორული დაავადებების ეპიდემიამ თელავში პიკს მიიღწა. ამის გამო, რაიონული საავადმყოფოში ავადმყოფთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. მდგომარეობა იმდენად გართულებულია, რომ თელავის გამგებელმა ველა კირვალაძემ სპეციალური განკარგულება გამოისცა, რომლის მიხედვითაც რაიონის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დღეს სასწავლო პროცესი შეჩერდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალყურის რაიონული ცენტრის ხელმძღვანელის მერი ხიზანიშვილის განცხადებით, გავრცელებული დაავადების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია სულ მალე დაგროვილი დავალიანებების დაფარვას სახელმწიფო ბიუჯეტი ორ წელიწადში შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე სრულად დაფინანსდა დეკემბრის თვის პენსიები და დაიწყო იანვრის თვის დაფინანსება. **მედია-ნიუსი**

„საქართველომ არჩევანი მხოლოდ საგვიდორო პროცესზე უნდა გააკეთოს“



დემიტრი როგოზინი.

რუსეთის სახელმწიფო სათათბროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დემიტრი როგოზინი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის კეთილშობილური ურთიერთობებით არის შესაძლებელი.

"საქართველომ ავტონომიების პრობლემის მოგვარებისას არჩევანი მხოლოდ სამშვიდობო პროცესზე უნდა გააკეთოს, თუმცა სამშვიდობო მოლაპარაკებები, შესაძლოა, 10, 20 ან 30 წელი მიმდინარეობდეს, იმი კი, როგორც წესი, ვაცილებით სწრაფად მთავრდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომს მაინც მოლაპარაკებები სჯობს. იმედია, სააკაშვილი, აფხაზი და ბურჯანაძე ამას ისევე კარგად ხვდებიან, როგორც ჩვენ", - აცხადებს როგოზინი. რაც შეეხება რუსეთის მიერ აფხაზ სეპარატისტთა მხარდაჭერას, როგორც როგოზინი აცხადებს, აფხაზები, მიუხედავად იმისა, რომ მათ რეგიონში დაძაბული ვითარებაა, ამის გამო თბილისში არ გარბიან, ამიტომ მათ გვერდში დგამა სჭირდებათ. **მედია-ნიუსი**

მანანის ბამბაცხაბულთა ჭბუფის ნეპრაზი ბატაცხაბულ მანქანებს აფხაზეთში ყიდენ

შს სამინისტროს მცხეთა-მთიანეთისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ნატახტორის საგუბარეო ავტორანსპორტის განტაცველობა ორგანიზებული დანაშაულებრივ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, 35 წლის ზესტაფონელი ვასლო კოგზირიძე დააკავეს.

შს-ს პრესსამსახურის ცნობით, კოგზირიძე სხვა პირებთან ერთად იტაცებდა უცხოური მარკის ავტომობილებს და მათ ამ საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ყიდდა, ან თავად გატაცებულ ავტომობილის მფლობელებს გამოასყიდის სახით საძალადე ვაუტს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მათ უკვე გამოვლენილი აქეთ კოგზირიძის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულებრივ ფაქტი. ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები კოგზირიძის პარტნიორთა დაკავების მიზნით.

21 იანვარს მან, "გიაოსთან" და "გენოსთან" (მათი ზუსტი ვინაზა დიდგდება) ერთად, ტექნიკური საშუალებების (ენ. "მტკიცეკების") გამოყენებით ვაიტაცა თბილისში დილმის მასივში მცხოვრებ სეველანა როდიონოვას კუთვნილი ავტომობიანა "ბმე".

ასევე დადგინდა, რომ 2003 წლის 28 აპრილს კოგზირიძემ, ვინმე "ზვიადმა" და "მერაბმა" თბილისში, კუპიის სასფლოს მიმდებარე ტერიტორიიდან ვაიტაცეს ვაისუბნის დასახლებაში მცხოვრებ ვლადიმერ დავითიანის კუთვნილი ავტომობიანა "ვაზ-2106", რომელიც ვადაყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე და მიჰყიდეს მათთვის უცნობ პიროვნებას 500 დოლარად.

2003 წლის 14 აგვისტოს კოგზირიძემ ზესტაფონში, "ფეროშენადნობი" ქარხნის ავტოსადგომიდან ვაიტაცა აღმაშენებლის ქუჩის №27-ში მცხოვრებ თეიმურაზ ბირბიტაძის კუთვნილი ავტომობიანა "ოპელ-ომეგა", რომელიც ავტოვარის შედეგად დააზიანდა ვინმე ურუქში და იქვე დატოვა.

2003 წლის 5 ნოემბერს კოგზირიძემ და ვინმე რატიმ თბილისში, 31-ე საავიაციო ქარხნის ავტოსადგომიდან ვაიტაცეს მოსკოვის გამზირზე მცხოვრებ ბორის ნაზლიძის კუთვნილი ავტომობიანა "ბმე", რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაყიდეს ათას 600 აშშ დოლარად. ამ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო დეპარტამენტის ისანე-სამგორის სამსახურში აღძვრებულა სისხლის სამართლის საქმე. ავტომობიანა დაუბრუნდა მფლობელს.

საკანსო დავალიანების ბრაფიკი ბარისტოვის მოზადება

ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე და ვასული პერიოდის მაკენსი დავალიანებების ნაწილის დაფარვის გრადეის საკენსი წარმოადგენს. საზოგადოებას წარუდგენენ საკენსიო დავალიანების ერთი მეოთხედის ვასტუმრების ზუსტ დროს", - აცხადებს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიელი. მისივე თქმით, დავალიანებების ვასტუმრებისას პრიორიტეტი საკენსიო დავალიანებებს მიენიჭება, ხოლო შემდგომ — შემწობებს და სახელმწიფო დავალიანებებს. სულ ამ წლების განმავლობაში დაფარვილი დავალიანებების დაფარვას სახელმწიფო ბიუჯეტი ორ წელიწადში შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე სრულად დაფინანსდა დეკემბრის თვის პენსიები და დაიწყო იანვრის თვის დაფინანსება. **მედია-ნიუსი**

ბრიონის ავიდავია თვალბი

კახეთის რეგიონის რიგ სკოლებში საგანგაშო მდგომარეობა გამოცხადდა. გრობისა და მწვანე რესპირატორული დაავადებების ეპიდემიამ თელავში პიკს მიიღწა. ამის გამო, რაიონული საავადმყოფოში ავადმყოფთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. მდგომარეობა იმდენად გართულებულია, რომ თელავის გამგებელმა ველა კირვალაძემ სპეციალური განკარგულება გამოისცა, რომლის მიხედვითაც რაიონის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დღეს სასწავლო პროცესი შეჩერდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალყურის რაიონული ცენტრის ხელმძღვანელის მერი ხიზანიშვილის განცხადებით, გავრცელებული დაავადების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია სულ მალე დაგროვილი დავალიანებების დაფარვას სახელმწიფო ბიუჯეტი ორ წელიწადში შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე სრულად დაფინანსდა დეკემბრის თვის პენსიები და დაიწყო იანვრის თვის დაფინანსება. **მედია-ნიუსი**

"აზოტის" ხელმძღვანელობას მანქანები დაუყადავს

გუშინ ქვემო ქართლის საელსრულებო პოლიციამ სააკაშვილი საზოგადოება ჯგუფის უფროსმა. "24 საათის" კითხვას მსუბუქი ავტომობიანა დაუყადავს. რეგიონის საელსრულებო ბიუროს ხელმძღვანელი დავით ჯაჭვჭაძე, ათამდე მანვილებთან თანამშრომლებთან ერთად, "აზოტში" დილის თორმეტი საათისთვის მივიდა. აღმასრულებლების მიკროავტობუსს დილიდან ქარხნის გასასვლელში იდგა და ყველა მანქანა იმონებდა.

"ყურადღებით იყავით, მგონი ერთი ჯგობის გაპარება აპირებენ," - ერთნაირების აფრთხილებდნენ მანვილებანები. "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ დაყადავებული მანქანების სიაში მოხვდნენ "აზოტის" უშიშროების სამსახურის უფროსის ლევან კენჭაძის ძვირადღირებული უცხოური მარკის მანქანა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის გოგი გოგოლაძის "მიტუშების" ტიპის ჯგობი, ქარხნის გენერალური დირექტორისა და სხვა თანამდებობის პირების ასევე ძვირადღირებული ავტომანქანები.

"ახლა ამ მანქანებზე დასხდებიან პოლიციელები და თბილისი ჩაიყვანენ," - განუცხადა ჟურნალისტებს აღმაშენებელთა ჯგუფის უფროსმა. "24 საათის" კითხვას - რატომ მაინც და ვივც მსუბუქი ავტომანქანები? - მან ასე უპასუხა: **"ქარხანას ვაგუნით შედავით. ბულაღტერია რომ დავულებოთ, ვაჩერდება წარმოება. ამიტომ ეს უფრო ოლი ფორმაა დავალიანების ამოსახლება."**

სასამართლო განჩინება, რომლის საელსრულებო ფურციელიც გუშინ "აზოტში" მიიტანეს, ქარხნის ერთ-ერთი ძველი კრედიტორის შშს "სახელმწიფო ელექტროსისტემის" სარჩელის საფუძველზე შედგა. სა

ხელისუფლებისადმი ღირსებად განწყობილები "სოციალისტებს" ნუ გამოეხმაურებიან

სოფო ბუკია



"სოციალისტები" პარტნიორებს ეძებენ.

რჩეულიშვილის ყოფილი თანაგუნდელები მზად არიან, დიალოგი ყველა პოლიტიკურ ძალასთან გამართონ, ვინც საარჩევნო ბარიერის ხუთ პროცენტამდე დანევის მომხრეა. საარჩევნო ბარიერებთან დაკავშირებით, "სოციალისტებს" საკუთარი მოსაზრება აქვთ. როგორც პარტიის თავმჯდომარე ირაკლი მინდელი აღნიშნავს, არჩევნებში დამოუკიდებლ-

ად მონაწილე პარტიისთვის საარჩევნო ბარიერი ხუთ პროცენტამდე უნდა შემცირდეს, ხოლო საარჩევნო ბლოკებში შეიძინა ან უფრო მაღალპროცენტზე ბარიერი უნდა დადგინდეს. მინდელის თქმით, აღნიშნული მოდელი წარმატებით მოქმედებს თურქეთში, საქართველოში მისი შემოღების შემთხვევაში კი, იგი ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიების

გამსხვილებას და ხელოვნური საარჩევნო ბლოკების შექმნას გამორიცხავს.

კონკრეტულად ვინ პასუხობს "სოციალისტურ" კრიტიკიუმებს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში, ჯერ თავად "სოციალისტებმა" არ იციან. "გოგი ფრთხილობს, მოვლენების განვითარებას ელოდება, დათოს პოზიციაც ჯერჯერობით უცნობია, შალვასთანაც ვეცენება, ალბათ, საუბარი... ვფიქრობ, ამ თემაზე კონსულტაციები დღეს-ხვალ უნდა დაიწყოს," - ირაკლი მინდელი მხოლოდ ამგვარი კომენტარებით შემოიფარგლება და საგარეულო პარტნიორების კონტექსტში ყველაზე ხშირად "მრეწველებს", "ახლებსა" და "ლეიბორისტებს" ახსენებს.

პარტიის მთავარმა კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე რამდენიმე საკადრო ცვლილებაც განახორციელა. მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, "სოციალისტური პარტიის" პოლიტიკური მდივანი გოგი ლორთქიფანიძე იქნება, საარჩევნო შტაბს კი პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავკაცი ნუგზარ ნავაძე უხელმძღვანელებს. "სოციალისტები" უახლოეს ხანებში კიდევ არაერთ სოფრბრძვს გეგმიდებიან. როგორც პარტიის ლიდერი აცხადებს, უმოკლეს პერიოდში ქართველ "სოციალისტთა" რიგებში ბევრი ახალი, მათ შორის, ცნობილი სახე ჩაენერება. "ახალ სახეებში" მინდელი ამჟამად უცხოეთში მოღვაწე პირებსაც გულისხმობს.

ზავი

პირველი გავრცობა

"ეს მექანიზმი ძალზე ძნელად განსახორციელებელია" და იგი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს, უკიდურესი პოლიტიკური კრიზისის პირობებს გულისხმობს. მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, შეთანხმებული ვარიანტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა კოლექტიური პასუხისმგებლობის ორგანო ხდება: "მინისტრები ცალკეულ თამაშს ვეღარ ითამაშებენ." "პრეზიდენტი მთავრობის საქმიანობისაგან დისტანცირდება და მთავარ პასუხისმგებელ პირად დარჩება, იგი აღმართული ხელისუფლების საქმიანობას ზოგად ხელმძღვანე-

ლობას გაუწევს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი მთავრობის მუშაობაზე პასუხისმგებლობას იღებს, ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი თავად პრემიერ-მინისტრი და თითოეული მინისტრი იქნება. ისინი ერთად მოვლენ ხელისუფლებაში და, თუ საკმე ცუდად წავა, მათ ერთად გაუშვებს პრეზიდენტი ან პარლამენტი," - ამგვარია მიხეილ სააკაშვილის პოზიცია. მათ, ვისაც გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ნირნამხდარი ეჩვენა, ჟვანიას ოფიციალური კომენტარი, ალბათ, იმულებულს ხდის, სამთა შეთანხ-

მებისა ირწმუნოს. გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ცვლილებათა პროექტში მისი ინიციატივით ჩაიდო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი მთავრობას 141 ხმით (სამი მესუთედით) ითხოვს. "საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი ბევრად უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყანაში არებული საკანონმდებლო ორგანო," - განუმარტა პრესას ჟვანიამ. შეგახსენებთ, ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებდა, რომ სუსტ პარლამენტში თავის ადგილს ვერ ხედავდა.

მიმომხილველთა შეფასებით, დღევანდელი კონსტიტუცია კონსტიტუციით იყო მორგებული შევარდნაძეზე. ეს კონსტიტუცია მოკრეფილს, რასაკვირველია, არ მოეგება. პოლიტოლოგ რამაზ კლიშიაშვილს სასურველად არ მიაჩნია, რომ ყველა ახალმა პრეზიდენტმა კონსტიტუცია საკუთარი "ზომის" მიხედვით შეცვალოს, თუმცა საკონსტიტუციო ცვლილებებს იგი აფასებს, "როგორც წინადაგმულ ნაბიჯს" ევროპული მოდელისკენ. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტს პარლამენტში ამ კვირას შეიტანს.

სს "საქართველოს ელექტროკავშირის" საბურთალოს, დიდუბისა და დიდმის მასივის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

გაუწყებთ, რომ დამთავრდა განბლოკების და მოქმედი სატელეფონო სადგურებიდან ახალციფრულ სადგურზე ტელეფონების გადასართავად მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ მოგეცემათ შესაძლებლობა, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ისარგებლოთ ყველა სახის საკომუნიკაციო მომსახურებით.

მოქმედი სადგურებიდან ახალ სადგურზე ტელეფონების გადართვის პროცესში მიმდინარე წლის 3 თებერვლიდან მოსალოდნელია ასს-51-სა და 3-იანი ინდექსის ტელეფონების ხარვეზებითა და წუნით მუშაობა; არ არის გამორიცხული მათი 2-3 დღის განმავლობაში გამორთვაც, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ადმინისტრაცია

პარდების რეკონსტრუქციის საკონსტიტუციო გაგრძელება

პირველი გავრცობა

ერთიმეხთუდით ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღებაზე მეტის შემთხვევაში კი, პარლამენტის თანხმობა სჭირდება. ასეთი დიდი უფლებების მიუხედავად, პრემიერ-მინისტრის სავარძელი მაინც არ არის ძალიან მყარი - მთავრობა და მისი მეთაური პასუხისმგებელია როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე. როგორც აღვნიშნეთ, პრეზიდენტს უფლება ეძლევა, პრემიერი და მისი გუნდი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე დაითხოვოს. იგივეს გაკეთება შეუძლია პარლამენტსაც, ოღონდ - ხმების სამი მესუთედით. თუ პარლამენტი ხმების ამ რაოდენობას ვერ მოაგროვებს, მაშინ უკვე პრეზიდენტი წყვეტს, მთავრობას შეელოს თუ პარლამენტს. თავის მხრივ, პარლამენტს შეუძლია ოთხ მინისტრს მისცეს აცილებდ და მათ კანდიდატურებს პრემიერი მეორედ ვეღარ წარადგინოს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისია კანონპროექტს იწინებს, ზოგიერთი საკითხი მაინც დაზუსტებას მოითხოვს. კომისიის წევრის ჯონი ხეცურიანის თქმით, სხდომის დროს გარკვეული შენიშვნები გამოითქვა, რომ-

თბილგაზის აბონენტთა საყურადღებოდ!

ძვირფასო თბილისელებო, გაცნობებთ, რომ ამა წლის 3 თებერვლიდან გაუქმებულია ინკასატორის ინსტიტუტი და შესაბამისად წყდება ფულის ხელზე აკრეფაც. 2004 წლის თებერვლიდან "თბილგაზის" აღმრიცხველები მხოლოდ ამონერენ თქვენი მრიცხველის ჩვენებას. შესაბამის ანგარიშსწორებას კი თქვენ უკვე ბანკებში ქვითრების საშუალებით მოახდინეთ. ქვითრებს, სადაც გაზის გადასახადი ისევ ძველი ტარიფით (0,27 თეთრი 1 მ 3) იქნება გადაანგარიშებული, აბონენტებს თავიანთ საცხოვრებელ ბინებში დაურიგებენ. "თბილგაზის" იმ აბონენტთა საყურადღებოდ, ვისი მრიცხველიც დაზიანებულია - მრიცხველის შეკეთებამდე ან გამოცვლამდე თქვენ შეგიძლიათ ინდივიდუალური ხელშეკრულება გააფორმოთ "თბილგაზთან" და დროებით ანგარიშსწორებაც ამ ხელშეკრულების მიხედვით მოახდინოთ. თანხის გადახდა ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ქვითრების საშუალებით, შესაბამის ბანკებში მოხდება. გაზის საფასურის დაფარვა უნდა განხორციელდეს ქვითრის დარიგებიდან ათი დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, გადაუხდელი მონობის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუწყდება გაზის მიწოდება და დაეულქება მრიცხველი. გაზომმარაგების მეწყვეტის შემდეგ გაზის მიწოდების აღდგენისათვის მომხმარებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებაც მოუწევს. ქვითრის დაკარგვის შემთხვევაში აბონენტს შესაბამისი ანგარიშსწორება 34-ვე მომსახურებელ ბანკის ფილიალში უპრობლემოდ შეუძლია:

- გლდანი:** საქართველოს ბანკი - ვეკუას 1 (ახმეტელის მეტროსთან); სახალხო ბანკი - III მიკრორაიონი; რესპუბლიკა ბანკი - ო. ხიზანიშვილის ქ. 20. ნაძალადევი: საქართველოს ბანკი - გურამიშვილის გამზ. 38; საქართველოს ბანკი - ც. დადიანის ქ. 39; სახალხო ბანკი - გურამიშვილის გამზირი 64; სახალხო ბანკი - ც. დადიანის ქ. 59.
- დიდუბე:** სახალხო ბანკი - ა. წერეთლის გამზირი 55; სახალხო ბანკი - ა. წერეთლის გამზირი 2; საქართველოს ბანკი - ა. წერეთლის გამზირი 60.
- ჩუღურეთი:** გაერთიანებული ქართული ბანკი - თამარ მეფის გამზირი 15; გაერთიანებული ქართული ბანკი - დ. აღმაშენებლის 67; საქართველოს ბანკი - კ. მარჯანიშვილის ქ. 27; საქართველოს ბანკი - დ. აღმაშენებლის გამზირი 188; გაერთიანებული ქართული ბანკი - ბაქოს ქ. 2.
- ვაკე:** გაერთიანებული ქართული ბანკი - ი. ჭავჭავაძის გამზირი 10; სახალხო ბანკი - ი. ჭავჭავაძის გამზირი 74; რესპუბლიკა ბანკი - ი. ჭავჭავაძის გამზირი 13.

- საბურთალო:** საქართველოს ბანკი - კ. გამსახურდიას გამზირი 9; საქართველოს ბანკი - ბულაჩაურის ქ. 1 ა; საქართველოს ბანკი - ნუცუბიძის ქ. 221; გაერთიანებული ქართული ბანკი - ვაჟა-ფშაველას გამზ. 21; რესპუბლიკა ბანკი - ალ. ყაზბეგის გამზირი 47 ა.
- მთანმინდა:** გაერთიანებული ქართული ბანკი - თავისუფლების მოედანი 4; გაერთიანებული ქართული ბანკი - რუსთაველის გამზირი 16-18; გაერთიანებული ქართული ბანკი - ლესელიძის ქ. 42; საქართველოს ბანკი - მ. კოსტავას ქ. 42.
- კრწანისი:** გაერთიანებული ქართული ბანკი - ლესელიძის ქ. 4; გაერთიანებული ქართული ბანკი - ვ. გორგასლის ქ. 111 ა.
- ისანი:** გაერთიანებული ქართული ბანკი - ქეთევან წამებულის ქ. 10; სახალხო ბანკი - ქეთევან წამებულის ქ. 53 ა.
- სამგორი:** სახალხო ბანკი - მოსკოვის გამზირი 37; გაერთიანებული ქართული ბანკი - ბ. ხმელნიცის ქ. 48 ა; საქართველოს ბანკი - ხომელის ქ. 1.

გადახდის ქვითარი N გადახდის ვადა:

აბონენტის დავალთანება	
ახალი ჩვენება(83)	
ძველი ჩვენება(83)	
გაბარჯულია(83)	
ბოლო გადახდის თარიღი	

მიმდინარე გადასახადი (ლარი)

ძველი დავალიანება (ლარი)

შელავათი (ლარი)

სულ გადასახდელია (ლარი)

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ გადახდის ვადას და ქვითრის მეორე გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას

აბონენტის N :
აბონენტის გვარი სახელი :
მისამართი:

გადახდის თარიღი	გადახდილი თანხა
	ლარი
	თეთრი

თანხა სიტყვიერად

გადამხდელი

მოლარე

შემოსავლის ორდერი N

კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 822 322121 899212121

აბონენტის N :
აბონენტის გვარი სახელი :
მისამართი:

გადახდის თარიღი	გადახდილი თანხა
	ლარი
	თეთრი

თანხა სიტყვიერად

გადამხდელი

მოლარე

ჯორჯ ბუში: მე მსურს სიმაართე


აშშ-ს ხელისუფლება მზად არის, დაიწყოს დამოუკიდებელი გამოძიება იმ სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებისა და ადმინისტრაციის გაფრთხილების თაობაზე, რომელსაც ერაყში ომის დაწყებამდე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო პრეზიდენტს აწვდიდა. ამის შესახებ ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებმა განაცხადეს.

ასეთი გამოძიების ჩატარების იდეა თეთრ სახლში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დევიდ კეიმ თანამდებობა დატოვა და განაცხადა, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ვერ იპოვეს. ამის შედეგად კი, შესაბამისად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევა დადავლის წესრიგში.

თავდაპირველად, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ...

გეგმა, მაგრამ ცსს-ს ინფორმაციების ეფექტურობის გარკვევა როგორც მისმა ოპონენტებმა – დემოკრატებმა, ასევე თანაპარტიულმა – რესპუბლიკელებმა კატეგორიულად მოითხოვეს. პარასკევს კი მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავადაც დაინტერესებულია სიმართლის გარკვევით. ბუშმა განაცხადა, რომ სურს გაარკვიოს, თუ რატომ ამტკიცებდა ცენტრალური სადაზვერვო ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობას, როდესაც ის, ჯერჯერობით, ნაპოვნი არ არის. **“ამერიკელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მე მსურს სიმართლის გარკვევა,”** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

დამკვირვებლებმა პრეზიდენტის განცხადების კომენტარებისას მიაჩნიათ, რომ ამით თეთრი სახლი შესაძლოა, ნელ-ნელა აღიარებდეს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არარსებობის ფაქტს.



ჯორჯ ბუში დამოუკიდებელი გამოძიების მომხრეა.

ეს კი ბუშის ოპონენტი დემოკრატების ხელში საკმაოდ ძლიერი კოზირია საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, რომელიც წელს უნდა გაიმართოს. სწორედ ამის გათვალისწინებით დათანხმდა ჯორჯ ბუში დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას, რომელსაც რესპუბლიკელებისგან და დემოკრატებისგან შემდგარი კომისია განახორციელებს. კომისიის მუშაობაში ასევე დამოუკიდებელი ექსპერტებიც მიიღებენ მონაწილეობას. სადაზვერვო კომისია თავის დასკვნას კონგრესს მომავალ წელს წარუდგენს.

“პრეზიდენტს ორპარტიულ საწყისზე დაფუძნებული, ფართო და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება სურს ჩვენი დახვედრის თაობაზე. განსაკუთრებით კი, მასობრივი განადგურების იარაღის საკითხზე. ჩვენ ვვჭრებთ კომისიას, რომელიც არა

მხოლოდ შეაფასებს წარსულს, არამედ განსაზღვრავს მომავალსაც, რათა ჩვენ გავაუმჯობესოთ ინფორმაციის მოპოვების მეთოდები და შესაბამისობაში მოვიყვანოთ ახალ საფრთხეებთან, რომელიც უკვე დღეს გვემუქება,” - განუცხადა საინფორმაციო სააგენტო “როიტერს” ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა.

რაც შეეხება კომისიის დასკვნის წარდგენის ვადას – მომავალი წლის დასაწყისს, ექსპერტთა აზრით, ეს პოლიტიკური ნიშნით განისაზღვრა, რათა პრეზიდენტმა ბუშმა დემოკრატებს საარჩევნოდ ამ ფაქტორის გამოყენების საშუალება არ მისცეს. გარდა ამისა, მომავალ წელს შესაძლოა, იმ პოლიტიკოსების პოზიციაც შესუსტდეს, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის ჯორჯ ტენეტის გადადგომას ითხოვენ.

საფრანგეთის პრეზიდენტი მართლმსაჯულებას იცავს

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ალენ ჟუპეს წინააღმდეგ სასამართლო პროცესის მსვლელობით უკმაყოფილოა. მან თქვა, რომ მისამართლებზე ზენოლა ხორციელდებოდა, მათი კაბინეტები რამდენჯერმე გატყვეს და კომპიუტერში არსებული მონაცემები მოიპარეს.

ქალაქ ნანტერის სასამართლო საფრანგეთის მთავრობის ყოფილი მეთაური კორუფციის ბრალდებით დამნაშავედ ცნო და 1,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯა. ამასთან,

ჟუპეს 10 წლით აეკრძალა საჯარო თანამდებობის დაკავება. ჟუპეს კორუფციული გარიგებები პარიზის მერიის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელების დროს უნარმოებია. დღეს იგი ქალაქ ბორდოს მერი და ჟაკ შირაკის მომხრე მემარჯვენე-

ცენტრისტული პარტიის ლიდერია. სასამართლო პროცესამდე მას შირაკის მემკვიდრეობასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ. სასამართლო ხელისუფლების დაცვის სურვილი კი შირაკს მას მერე გაუჩნდა, რაც პრესაში ჟუპეს საქმეში პრეზიდენტის

დაინტერესებუბე ვაჩნდა ცნობები. თავიდან გამოძიების პროცესში შირაკის სახელიც ფიგურირებდა, თუმცა, პრეზიდენტის იმპრეტის საბაბით, მის წინააღმდეგ ძიება შეწყდა. ახლა კი შირაკს საკუთარი მიუკერძოებლობის დემონსტრირება სურს.

ამასობაში ჟუპეს ისლა დარჩენია, სასამართლოს გადარჩევისთვის ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს და თუ ამანაც ვერ უშველა, შირაკის მექვიდრობას ახლანდელ მინიდან საექვეთნო საკუთარი მიუკერძოებლობის დემონსტრირება სურს.

კარმა კენჭს აღარ იყრის

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა აღარ აპირებს მესამე ვადით პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას. ამის თაობაზე მან უკრაინულ ტელეარხს “1+1” განუცხადა. გარდა ამისა, კუჩმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის თავის მემკვიდრეს არ დაასახელებს. **“უკრაინა რუსეთი არ არის. ჩვენ მეფე არასდროს გვყოლია,”** - განაცხადა ლეონიდ კუჩმამ. მან აღნიშნა, რომ უკრაინას ყოველთვის არჩეული გეგმანები მართავდნენ.



ლეონიდ კუჩმას პრეზიდენტობა მობეზრდა.

მან მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო რეფორმებს, რამაც უკრაინის ოპოზიციასა და სახელისუფლებო პარტიებს შორის მკვეთრი დაპირისპირება და პარლამენტის მუშაობის ბლოკირება გამოიწვია. ამის გამო კუჩმამ მკაცრად გააკრიტიკა უკრაინის ოპოზიციური პარტიები.

“ოპოზიციის ლიდერებს პირადი წყენა ამოძრავებთ. ისინი ხომ ყველანი ხელისუფლების წევრები იყვნენ და იმის შექმნას უწყობდნენ ხელს, რასაც დღეს დანაშაულებრივად ვხედავთ,” - განაცხადა კუჩმამ.

საფრთხის უქმნის ქვეყანაში არსებულ წინასწარობას და სტაბილურობას, - განაცხადა კუჩმამ და თანაც დასძინა, რომ ის ქვეყანაში დევსტაბილურობას არ დაუშვებს, რადგან მას, **“როგორც პრეზიდენტს, ამის უფლება არ აქვს.”** თუმცა, მას ოპოზიციასაც საუბარი ამით არ დაუსრულებია. **“ჩვენი ოპოზიციის კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი საკუთარი ქვეყნის, უკრაინის პრობლემების გადაწყვეტას ქვეყნის გარეთ ცდილობენ. დამისახელოთ მათი კიდევ ერთი მხარე, ვინ იქცევა კიდევ ასე?”** - აღმშობდა კუჩმა. თუმცა, ის თავად ოპოზიციის არსებობას დადებით ფაქტორად მიიჩნევს. **“იმ ფაქტს, რომ ოპოზიციას ქალაქში კი არა, რეალურად არსებობს, უფრო დადებით მოვლენად ვიხილავ,”** - აღნიშნა კუჩმა.

“პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჩვენი ოპოზიციის, რომელიც თავის თავს ცივილიზებულს უწოდებს, უფლებების ვადა ან. ოქტომბერში იწურება. ექსპერტთა აზრით, ამ დროისათვის უკრაინაში საგრძნობლად “დაცხება”.

რუსეთი ევროკავშირს ევაჭრება

მაისში აღმოსავლეთით ევროკავშირის გაფართოება ახალი წევრების ხარჯზე, დიდი ხანია, უკვე აღარ იწვევს დაუჭერებას. ასევე დიდი ხანია, ამ ახალ რეალბობას უკვე შეგუებულია რუსეთის ხელისუფლებაც. თუმცა, კრემლი დასავლეთთან ვაჭრობას მინაც დაიწყებდა განაგრძობს. ამ ვაჭრობის კიდევ ერთი მავალითის შესახებ გავლენიანი გაზეთის “ფაინანსშელ ტაიმისი” გუმინდელი გამოშვება იუწყებოდა. **“მოსკო-**

ვმა ევროკავშირს განუცხადა, რომ მხარს დაუჭერს მაისში დადგენილ ევროკავშირის გაფართოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბრიუსელი დათანხმდება მთელ რიგ მოთხოვნებს, რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროკავშირში რუსეთის ეკონომიკურ ინტეგრაციას შეეხება,” - წერს “ფაინანსშელ ტაიმისი”.
გაზეთმა ამ მოთხოვნების სიის ასლიც მოიპოვა, რომელიც 14 პუნ-

ქტისაგან შედგება. მოსკოვი ევროკავშირისგან მოითხოვს: უმთავრეს რუსულ საქონელზე მაღალი ტარიფების შემცირების გადავადებას, რუსეთის ენერგომატარებლების ექსპორტზე შეზღუდვების მოხსნას, ხორბლის იმპორტზე უფრო მაღალი კოტების დაწესებას და რუსული ფოლადის მწარმოებლებისათვის ევროპულ ბაზარზე დასამკვიდრებლად შეღავათების დაწესებას. ეკონომიკური საკითხების გა-

რდა, რუსეთი ევროკავშირს პოლიტიკური ხასიათის პრეტენზიებსაც უყენებს: რუსეთის მიქალაქებში სათავის ევროკავშირში გასამგზავრებლად სავიზო რეჟიმის გამარტივება და ბალტიის ქვეყნებში რუსულენოვანი მოსახლეობისათვის სპეციალური სტატუსის მიწოდება. **“პოლიტიკური თვალსაზრისით მოთხოვნების სია წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ რუსეთი შემოფოთებულია ევროკავშირის**

გაფართოების შედეგად თავისი გავლენის დაკარგვით. ეს კი აიძულებს მოსკოვს, პირველ მაისამდე ხელს შეწყვიტოს ბრიუსელზე და ევროკავშირის ახალ წევრებზე,” - წერს “ფაინანსშელ ტაიმისი”.
“რუსეთი მთელი ძალით ცდილობს ევროკავშირის ახალი წევრებისათვის ცხოვრების გართულებას,” - აცხადებს ერთ-ერთი ევროპული დიპლომატი. **“ევროპული სავაჭრო ჩინოვნი-**

კების თქმით, სიაში ასახულია რუსეთის შემოფოთება სრულიად გასაგებ საკითხებზე, რომლის აღმოფხვრას მხარეები აუცილებლად შეეცდიებიან. თუმცა, ისეთი საკითხები, როგორცაა სავიზო რეჟიმის გამარტივება და ბალტიის ქვეყნებში რუსულენოვანი მოსახლეობისათვის განსაკუთრებული სტატუსი, რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში არ იქნება განხილული,” - ასკვის “ფაინანსშელ ტაიმისი.”

პაკისტანის ბირთვულ ტექნოლოგიებს ირანი, ლიბია და ჩრდილოეთ კორეა მოიხმარდა

პაკისტანის ბირთვული პროგრამის მთავარმა შემოქმედმა, აბდულ ყადირ ხანმა აღიარა, რომ 1980-1990-იან წლებში მიჯნაზე ირანს, ლიბიასა და ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ ტექნოლოგიებს აწვდიდა. ეს ინფორმაცია პაკისტანის სამთავრობო წრეებთან დაახლოებულ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გავრცელდა. ყადირ ხანი პაკისტანის მთავრობის მრჩეველის პოსტიდან შაბათს გაათავისუფლეს. მართალია, მისი აღიარება ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, მაგრამ დენაშეხების მექანიზმის თანამდებობიდან გადაყენება გარკვეული დასკვნების საფუძველს იძლევა. ანონიმური წყარო იტყობინება, რომ ყადირ ხანმა გამოძიების წერილობითი ჩვენება მისცა, სადაც ბირთვული ტექნოლოგიების გადინება დეტალურად აღწერა. მის ვადაც, ამ საკითხობას, სავარაუდოდ, პროგრამაში მონაწილე სხვა მექანიზმებიც მისდევდნენ. ბირთვული ტექნოლოგიების შექმნით ირანი, ლიბია და ჩრდილოეთ კორეა იყვნენ დაინტერესებული. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სახის ინფორმაცია გაედინებოდა პაკისტანიდან. ცნობიანია მხოლოდ დრო და გადინების მოტივი. ყადირ ხანი და მისი ჯგუფის სხვა მექანიზმები ირანს, ლიბიასა და ჩრდილოეთ კორეას საიდუმლო ინფორმაციას 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, საკმაოდ დიდი საერთაშორისო საიდუმლოდ აწვდიდნენ. ვრცელდება ცნობე-

ბი, რომ ამგვარი საქმიანობის მიღმა იდეოლოგიური, ანტიდასავლური შეხედულებებიც იდგა. ამაზე მიუთითებს ყადირ ხანის ერთი გამონათქვამი, როცა მან დასავლეთის ქვეყნებსა და ისრაელს არა მხოლოდ პაკისტანის, არამედ თლიანად ისლამის მტრები უწოდა.

ყადირ ხანის დაჯგუფების წინააღმდეგ გამოძიება გასული წლის ნოემბერში მას მერე დაიწყო, რაც ირანმა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს, შეთანხმებისამებრ, საკუთარი ბირთვული პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიანოდა. ვრცელ დოკუმენტაციაში პაკისტანის ბირთვული პროგრამის სახელმაც გაიჟღერა. ბირთვული ტექნოლოგიების სხვა ქვეყნებისათვის მიწოდებაში პაკისტანს უკვე დიდი ხანია, ადანაშაულებენ და თუ ყადირ ხანის ვადაც დადასტურდა, მაშინ ისლამაბადი ამ ბრალდებების უარყოფას ვეღარ შეძლებს. პაკისტანის პრეზიდენტმა, ფერეზ მუშარაფამ ბოლო დროს ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურება გამოაცხადა და ბირთვული ტექნოლოგიების გავრცელების წინააღმდეგ მიღებული ზომები, სავარაუდოდ, ამ ბრძოლის ერთ-ერთ ასპექტად იქცევა. ეს კი ვაშინგტონის მხრიდან უთოდ მოწონებას დაიმსახურებს, მით უფრო, რომ ბირთვული ტექნოლოგიის საიდუმლოება იმ ქვეყნებს მიწოდებოდა, რომლებსაც აშშ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში დებს ბრალს.



აბდულ ყადირ ხანი.

როდინოვის საპრისიპორად, უელსელებს იმედი აქვთ, რომ UEFA სწორედ მათ სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას. უელსის ნაკრების მწვრთნელი, მარკ ჰოუზი ამბობს: "მრავალი წელია, რაც FIFA და UEFA დოპინგის წინააღმდეგ იბრძვიან. ეს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. UEFA-ს სადისციპლინო კომიტეტიც მათი მხარეა, რომ ტიტოვი აკრძალული პრეპარატის მიხედვით ამხილეს. მაგრამ ის ფაქტი, რომ მან ოთხ დღეში ისევ ითამაშა, მის მიერ დოპინგის გამოყენების ფაქტს ადასტურებს. არ მინდა, მოვლენებს ვაგუფს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ზაფხულისთვის ჯერ არაფერს ვგეგმავ. თუ UEFA დააკმაყოფილებს ჩვენი ფედერაციის პროტესტს, რომელსაც მე თავიდან ბოლომდე ვიზიარებ, პორტუგალიაში გასამგზავრებლად მოვემზადებ".

"Спорт-Экспресс"-ი გუშინ უელსის ფეხბურთის ფედერაციის

ას ზრდის. მას, ვისაც ჩვენი და რუსეთის მატჩები აქვს ნანახი, კარგად დაინახავდა, რომ ფიზიკური მომზადების მხრივ, ამ მატჩებში ნებისმიერი უპირატესობა გადამწყვეტი ფაქტორი იქნებოდა. ჩვენ, ყველა, მეც და ფეხბურთელებიც, თავს მოტყუებულად გვრძობთ. მტოქე უსამართლოდ გვეთამაშა და ის, რაც შეიძლება, მკაცრად უნდა დაისაჯოს".

უელსის ნაკრების ლიდერი, რაიან გიგზი კიდევ უფრო შორს მიდის და იმის იმედიც აქვს, რომ მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატში მისი გუნდიც მსარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას. უელსის ნაკრების მწვრთნელი, მარკ ჰოუზი ამბობს: "მრავალი წელია, რაც FIFA და UEFA დოპინგის წინააღმდეგ იბრძვიან. ეს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. UEFA-ს სადისციპლინო კომიტეტიც მათი მხარეა, რომ ტიტოვი აკრძალული პრეპარატის მიხედვით ამხილეს. მაგრამ ის ფაქტი, რომ მან ოთხ დღეში ისევ ითამაშა, მის მიერ დოპინგის გამოყენების ფაქტს ადასტურებს. არ მინდა, მოვლენებს ვაგუფს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ზაფხულისთვის ჯერ არაფერს ვგეგმავ. თუ UEFA დააკმაყოფილებს ჩვენი ფედერაციის პროტესტს, რომელსაც მე თავიდან ბოლომდე ვიზიარებ, პორტუგალიაში გასამგზავრებლად მოვემზადებ".

"Спорт-Экспресс"-ი გუშინ უელსის ფეხბურთის ფედერაციის

წარმომადგენელს, ტიტოვის ფაქტთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი კომისიის ხელმძღვანელს, კენ ტაქერსაც დაუკავშირდა და მისგან უელსის ფედერაციის ოფიციალური პოზიციის შესახებ შეიტყო. აღმოჩნდა, რომ უელსელები რუსეთთან მატჩის გადათამაშებას არ მოითხოვენ. მათი აზრით, რუსეთის ნაკრები ავტომატურად უნდა იქნას დისკვალიფიცირებული და ევროპის ჩემპიონატზე უელსის ნაკრები გაემგზავროს. "გვეჯერა, რომ სამართალი ჩვენ მხარესაა. ტიტოვს არ ჰქონდა რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშის უფლება. ამის გამო რუსებს ნაგება უნდა ჩაეთვალოს და ევროპის ჩემპიონატზე არ უნდა დაუშვან. მსგავსი ფაქტი ოლიმპიადაზე რომ დაფიქსირებულიყო, ტურნირიდან მიველ გუნდს მოხსნიდნენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დოპინგის გამოყენებაში სათადარიგო სპორტსმენს ამხელდნენ", განაცხადა კენ ტაქერმა.

თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს UEFA-ს სადისციპლინო კომიტეტი, ამას დღეს საღამოს შეიტყობთ. ვინ იცის, შესაძლოა, რაიან გიგზს, მართლაც, მოუწიოს პორტუგალიაში გამგზავრება...

ფორმალა 1

"ფერარი" სარეკორდოდ გაიხადნა

ახლა, როდესაც სკუდერიამ ახალი ბოლიდი გამოამზავურა, მისი საქმეში ხილვის დროც დადგა. ფიორანოში, იქ, სადაც "ფერარი" საკუთარ პირმშობეს ცდის ხოლმე, ამჯერად 2004 წლის იმედი - F2004 გაიყვანა სტარტზე. სტარტზე გასვლა და ტრასის ზედიზედ ორი რეკორდის დამყარება ერთი იყო. ბუნებრივად, ბოლიდის "საქციელი" მისხელ შუმპახერი კმაყოფილი დარჩა, აღფრთოვანებას ვერ ფარავდა და განაცხადა კიდევ: F2004 ძალის სიამედაა. ბოქსებიდან დაწყებული, ბოლო წრით დამთავრებული, არავითარი პრობლემა არ შემქმნია. ყველაფერთან ერთად, მანქანა უფრო სწრაფიაო: "კარგია, როდესაც წარმატებებისგან გუნდს თავბრუ არ ეხვევა. F2004-ის სასტეპინგო დაჯდომისთანავე მიხვდა, რომ 2003 წლის მოდელის ყველა სუსტი მხარე წარსულს ჩაბარდა. მშენებერია ისიც, რომ ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემები არ წარმოშობილა, მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი რამ შეიცვალა. ჯერჯერობით, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ძლიერია ჩვენი ბოლიდი, რადგან კონკურენტთა მანქანებთანაა შესადარებელი. თუმცა, მეჩვენება, რომ F2004 ტიტულისთვის საბრძოლველად მზადაა. ასე რომ, ისინი, ვინც აცხადებდნენ, წლებს "ფერარის" გამარჯვების შანსი არ ექნებაო, ცდებიან".

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს ფიორანოში ახალი ბოლიდის ტესტირების შემდეგ ჩამოართვეს.

- ახალი მანქანა თუ მოგეწონათ? - დილექტანტის თვალისთვის ძნელია, რამე მნიშვნელოვანი განსხვავება დაინახო ძველსა და ახალ ბოლიდს შორის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ცვლილებებთან დაკავშირებით ყოველმხრივ ინფორმირებული ვიყავი. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ.

- პირველად როდის ნახეთ ახალი მანქანა, ჩვეულებისამებრ, პრეზენტაციისას? - ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც წინა წლებში. მაგრამ ამჯერად მანქანა ცოტა ადრე ვნახე.

- არდადეგებისას ახალი ბოლიდის დასახვეწად თავად რა რჩევები გაცემთ? - როდესაც კარდინალურად შეცვლა, უბრალოდ, შეუძლებელია. რაკი რეგლამენტი ზუსტადაა განსაზღვრული, თავისუფალი მოქმედების საშუალება არა გვაქვს.

- როგორც "ბრიჯსტონის"

საბურავების მწარმოებელი.

რედ.) მწარმოებლები ამბობენ, თქვენ ერთადერთი ხართ, ვისი აზრით წარმოებაში ანგარიშგასახეია. ტესტებზე თანდათანობით ყურადღებას თუ დაუთმობთ საბურავებს?

- თუ "ბრიჯსტონში" ასე ამბობენ, მაშინ არ ვიცი, გუნდის დანარჩენ წევრებზე რა გითხრათ. პარიკელიც ბრწყინვალედ მუშაობს ტესტებზე.

- სულ უფრო ხშირად ამტკიცებენ, რომ "ბრიჯსტონი" "მიწელებზე" სუსტია. ამზე რას იტყვით?

- "ბრიჯსტონი" ძალზე ძლიერი იქნება. ტესტებზე ამ საბურავებით საკმაოდ ძლიერები ვიყავით, მაშინაც კი, როდესაც ეს ყოველთვის არ აისახება შედეგებზე. თუმცა, ჯობს, ამ საკითხს მოგივინებით დაუბრუნდეთ. ჯერჯერობით, მთავარწილებები მხოლოდ დადებითია.

- ახალი სეზონისგან რას მოელოდით? - ჩემპიონატი ძალზე რთული იქნება, ბევრად უფრო რთული, ვიდრე შარშან.

- კონკურენტთა ძალებს როგ-

ორ შეფასებით?

- ისინი მშვენივრად მოემზადნენ ახალი სეზონისთვის და, ეტყობა, უფრო სწრაფებიც იქნებიან. ახლა "მაქლარენი" უფრო მომწონს, ვიდრე "უილიამსი", რადგან მათ კარგად შემუშავებული მანქანა ჰყავთ.

- 1995 წლის ბოლოდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც "ფერარის" საქვს მიუჯექით, თუ წარმოდგენილი, რომ ამდენ ხანს დარჩებოდით სკუდერიაში?

- მაშინ "ფერარისგან" ასეთ სტაბილურობას არავინ მოელოდა. პოლიტიკური თვალსაზრისით "ფერარი" ყველაზე უჩვეულო განხლდათ. და მაინც, უან ტოდტმა შეძლო სტაბილურობის უზრუნველყოფა, რამაც ყველაფერი შეცვალა.

- რამდენად საკმარისია დრო იმისთვის, რომ მელბურნის (პირველი გრან-პრი.-რედ.) სტარტამდე ახალი მანქანა საიმედო და სწრაფი გახდეს?

- ჩვენ ვალდებული ვართ, ნაყოფიერად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო. ვფიქრობ, კალენდარულ გეგმებში ჩავეტყვიო. დრო უნდა გვეყოს. სანერვიულო არაფერია.



შუმპახერი მორიგი ტიტულისთვის ემზადება

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიხი" გთავაზობთ: კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით: კლავიატურაზე ბუქვლის ათვისება, მისი, საქმნიანი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word, აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel, ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ვებ-ფოსტა, ოპერაციული სისტემა Windows. ცენტრი მოქმედებს სხვა კუჩხებით. მისამართი: ე.წ.ნაძის № 72 ტელ:29-48-61

საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიხი" შეიძინეთ გაერთიებული მოიგეთ! ფირმა "ფინქსი" ქსოვს ნარმატებს. ცოცხალი შობის, როსთაი 2-ის პირდაპირ ვიწროში გაიმართება ტიტულისატორ საივებო ტიტუს" გათამაშება. დანერგულია ინფორმაციული კომუნიკაციის სისტემის ჩართვა "24 საათში"

სამთო-სათხილავო სპორტი

"პერმინატორს" ბადალი არ ჰყავს

გერმანიის კურორტ პარმიშ-პარტენკირხენში გაიმართა მსოფლიო თასის ეტაპი გიგანტურ სლალომში. გაიმარჯვა ავსტრიელმა პერმან მაიერმა. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ავსტრიის სათხილავო სპორტის ფედერაციამ.

ავსტრიელი გულშემატკივრის კერპმა, პერმან მაიერმა, რომელიც ტრავმისგან ახლახან გამოჯანმრთელდა, 0,07 წამით აჯობა ფრანგ პიერემანუელ დალრინსა და 0,37 წამით ჩამოიტოვა შვეიცარიელი ტობიას გრიუნფელდერი. ამ გამარჯვებით მაიერმა მსოფლიო თასის წლევანდელი გათამაშების დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე გაიწვია პირველობა სუპერგიგანტში.

მაიერმა მიმდინარე სეზონში მსოფლიო თასის მესამე, სულ კი 45-ე ეტაპი მოიგო და ამ მაჩვენებლით საერთო ჩათვლაში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდრა. უმაღლეს საფეხურზე მან შეაფინროვა თანამემამულე ბენიამინ რაიხი, რომლისთვისაც პარმიშ-პარტენკირხენის ტურნირი ძალზე წარუმატებელი გამოდგა. სწრაფდაშვებისას რაიხი დაეცა, დაშავდა და ტვინის შერყევის დიაგნოზით, ვერტმფრენით ინსტრუქტორსა და ავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, უახლოეს მომავალში რაიხს თხილამურებზე ვერავინ იხილავს.

გიგანტურ დაშვებაში მეოთხე ადგილზე ავსტრიელი ანდრეას მიფერერი.



პერმან მაიერი მიუნხენში

REUTERS

როგორ

ტრიუმფატორები ტრიუმფის ხეობა

როგორ გრძნობენ თავს როყე ფედერერი და ყიუსტინ ენინ-არდენი

ენიო პირველი

ესეც ასე - პირველმა თებერვალმაც ჩაიარა და სეზონის პირველი დიდი საჩოგბურთო ტურნირი ანუ ავსტრალიის ლია ჩემპიონატი ისტორიის საკუთრებად იქცა. მაინცდამაინც დიდი მოულოდნელობები არ მომხდარა: ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს იმით, ვისაც სპეციალისტები თავიდანვე უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას. ახდა ATP-ს ბოსის, მარკ მაილის სიტყვები, როყე ფედერერს მელბურნში ვერავინ აჯობებსო. არც იმის მიხედვრა იყო ძნელი, რომ დები უილიამსების არყოფნაში დიდი სლემის პირველ პრიზს აუცილებლად ბელგიელი როგბურთელები შეეცილებოდნენ ერთმანეთს...

ეს ზიტი, უბრალოდ, დაუმარცხებელია!

მელბურნი. 2004 წლის 1 თებერვალი. ადგილობრივი დროით 16 საათი და 27 წუთი. ორმოცდარვა საათიც არ არის გასული მას შემდეგ, რაც შვეიცარიელი როყე ფედერერი ნახევარფინალში ესპანელი ზუან კარლოს ფერეროს დამარცხებისა და პირველი ჩოგნის ტიტულის მოპოვების შემდეგ მუხლებზე დაეცა და, გამარჯვებით გაბრუნებულმა, მადლობის ნიშნად ორივე ხელი აღმართა. ერთ დიდ სიხარულს უცებ მეორეც მოჰყვა: ფედერერმა ტურნირის სენსაციად მიჩნეულ რუს მარატ საფინს სამ სეტში მოულოდლო და თავის კარიერაში მეორედ მოიგო დიდი სლემის ტურნირი. წარმატებით გამორჩეული აღფრთოვანება იმდენად დიდია, რომ შვეიცარიელი თავს ვეღარ იკავებს, კიდევ ერთხელ იჩოქებს მელბურნის კორტზე. ავსტრალიის მინამ ნამდვილად დაიმსახურა ჩემპიონის ამბორი...

გამარჯვებული ფედერერი საპატიო თასს მელბურნის მოღრუბული ცისკენ აწევს და ლავერ არ-

ენაზე შეკრებილი თხუთმეტი ათასი მაყურებლის ოვაცია თვით კორტის სიახლოვეს გამართული როკ-მუსიკის კონცერტის ენერგიულ ჰაგვებსაც კი გადაფარავს. ამ კონცერტმა ძალიან გაუჭირა საქმე ჩოგბურთელებს. ფედერერსაც და საფინსაც ამკარად ეტყობოდათ, რომ უჭირდათ მუსიკის თანხლებით თამაშზე კონცენტრირება. თუმცა, შვეიცარიელი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მეტოქის სიმტკიცის გატეხვაც შეძლო და აბეზარი როკის დამარცხებაც. და, აი, ბაზელოში დაბადებული როყე ფედერერი მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ავსტრალიის ოპენის დამსახურებული ტრიუმფატორია. მელბურნში მან ოლოდ მოუგო სამივე ექს-პირველ ნომერს - ჰიუიტს, ფერეროს, საფინს... წარმატებით დაძლია დაევიდ ნალბანდიანის ბარიერიც, რომელიც მისთვის აქამდე უხერხულ მეტოქედ იყო მიჩნეული, მიუღი ტურნირის განმავლობაში შესანიშნავად ითამაშა და სულ ორი სეტი წააგო. ფინალში გასასვლელად შვეიცარიელი 10 საათი და 50 წუთი დასჭირდა. მარატ საფინმა კი ორჯერ მეტი დრო მოანდომა ტოდ მარტინის, ენდი როდისა და ანდრე აგასის გზიდან ჩამოშორებას. რუსი ჩოგბურთელი სწორედ დაღლილობის ფაქტორით სწინადა თავის წარუმატებლობას, თუმცა არც ფედერერს დაუკარგა დამსახურება: "მე, ცოტა არ იყოს, დაღლილი ვიყავი, რომ მისი რიტმისთვის ფეხი ამეწყვო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფედერერმა მხოლოდ იმიტომ მომიგო, რომ ძალიან გადავიდებოდი. ამ ტურნირზე მას ბადალი არ ჰყავდა. ჩემი აზრით, ის ახლა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია. თვით პიტ სამპრასზე უკეთესიც კია", - თქვა საფინმა. მის აზრს სხვებიც იზიარებენ. ჩოგბურთის ექსპერტები როყე ფედერერს საუკუნის ჩოგბურთელად მიიჩნევენ. ჯონ მაკინროისთვის ფედერერი ერთადერთი სპორტსმენია, ვისაც 2004 წელს დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოგება შეუძლია. ავსტრალიის ტურნირის ერთ-ერთი ხე-

ლმძღვანელი, ჯეოფ პოლარდი მიიჩნევს, რომ ფედერერს ისტორიის შეცვლა შეუძლია. წარსულში სახელგანთქმული შვედი ჩოგბურთელი მათს ვილანდერი კი ფიქრობს, რომ ფედერერი დაუძლეველია: "ეს ზიტი, უბრალოდ, დაუმარცხებელია. მისი სული და გონება ზუსტად ისევე ძლიერია, როგორც მისი დარტყმა." თავად როყე იმდენად გაბრუნებულია წარმატებით, რომ საერთოდ დაკარგა ზომიერების გრძნობა: "თავის ქებაში წუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ დღეს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ვარ. მე დავიმსახურე რეიტინგში პირველი ადგილი", - აი, ასეთ განცხადებებს აკეთებს ფედერერი. რა იქნება ამ ტრიუმფის შემდეგ? ჩოგბურთელი დასვენებას არ აპირებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის ერთი კვირითაც კი არ იღებს ტაიმ-აუტს-უქმებზე მიფრინავს რუმინეთში, სადაც დევისის თასის ტურნირის პირველი რაუნდი უნდა ჩატარდეს. ავსტრალიაში გამარჯვებამ ფედერერს 737 000 ევრო მოუტანა. მთლიანად კი მის საბანკო ანგარიშზე უკვე 8,5 მილიონი დოლარია. არცთუ ისე ურიგო თანხა ახალგაზრდა კაცისთვის. როყე ფედერერი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა...

დასვენება, როგორც ნამალი


ავსტრალიის ლია ჩემპიონატის მეორე გამარჯვებული, 21 წლის ყიუსტინ ენინ-არდენი სულაც არ არის ისეთი თავდაჯერებული, როგორც როყე ფედერერი. ეს სუსტი აგებულების ნაზი გოგონა მატჩის დაწყების წინ იმდენად უშმეო და დაუცველი ჩანს, რომ, თუ მისი თამაში არ გინახავთ, ვერც კი წარმოიდგნენ, საერთოდ ჩოგნის ძლიერად მოქნევა თუ შეუძლია. თანამედროვე ქალთა ჩოგბურთში ბევრი სპორტსმენია ფიზიკურად მასზე ძლიერი, მაგრამ დღეს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მაინც ეს სუსტი ბელგიელია და არა ვინმე სხვა, თუნდაც მისი თანამემამულე კიმ კლიისტერსი, რომელიც ვერც მელბურნში შეძლო თავისი სა-

უკეთესო მეგობრისა და ყველაზე სახიფათო კონკურენტის დაძლევა. არადა, ჩასხმული, ფერ-ხორციანი კიმი, როგორც ავსტრალიელი ლეიტონ პიუიტის საცოლე, ადგილობრივი საზოგადოების დიდი სიმპატიითა და მხარდაჭერით სარგებლობდა, მაგრამ ფიუსტინის წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდა. ქერთაშიანი ვალიონი ისევე მასზე ძლიერი აღმოჩნდა. "ის უფრო უკეთესი ჩოგბურთელია, ვიდრე დები უილიამსები", - ამბობს ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი კრის ევერტი. ეს უკვე აღარ არის უბრალო კომპლიმენტი...

"შე კორტზე უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე ცხოვრებაში", - აღიარებს ფიუსტინი. იმისთვის, რომ კორტზე ძლიერი იყოს, მას უსახარულოდ ავარჯიშებენ. ფიუსტინი თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ფიტნისცენტრში ატარებს და სხეულს იკაჟებს, რათა მოედანზე გამძლეობამ არ უღალაფოს. მას ყოველდღიური ვარჯიში და სპარტანული ცხოვრება იმდენად შესისხლბორცებული აქვს, რომ ზოგჯერ ტურნირის მოწყობის შემდეგაც კი ვეღარ ახერხებს განტვირთვას. ასე, მაგალითად, გასულ წელს, ავრიკის ლია ჩემპიონატის მეორე მოიგო, იმის დროს, რომ ეს ფაქტი დიდი ზემოქმედებით, ფიუსტინი თავის მეუღლესთან ერთად სასტუმროს თიხაში შეიკეტა და მწირი ვახშმით დაკმაყოფილდა. მელბურნში სიტუაცია სრულიად სხვანაირი იყო, რაზეც პირადად იზრუნა ჩოგბურთელის მეორე მწვრთნელმა კარლოს როდრიგესმა. მან იტალიურ რესტორანში მაგია შეუკვია და ფიუსტინს საშუალება არ მისცა, მატჩის შემდეგ სასტუმროში წასულიყო. დასვენების ვარიანტი, ფიუსტინმა თავისი მოტივი გამარჯვება ხალისიან გარემოში აღნიშნა და არც უნანია. როდრიგესმა თავის შეგირდს მამპანურიც დააძალა, თუმცა ფიუსტინმა მხოლოდ სამი ჭიქა დალია. ზომიერების გრძნობამ მას არც რესტორანში უღალატა. რა გაეწყობა, ასეთი მკაცრი ცხოვრების წესი რომ არ შეზღუდოს, ალბათ, არც იქნებოდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი...

ფორმულა 1

სასაფლაო იხურება



იმოლას ტრასას აუქმებენ

2005 წლის სეზონში ფორმულა 1-ის კალენდრიდან გაქრება ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული რბოლა. ბერნი ეკლსტონუნმა გამოაცხადა იმის შესახებ, რომ სან-მარინოს გრან-პრი რუკიდან ნაიშლდება. ეს ტრასა ევროპაში ყველაზე სახიფათოდ იყო მიჩნეული.

იმოლას მძიმე რეპუტაცია აქვს. უამრავი ავარიის გამო ტრასა რამდენჯერმე გადააკეთეს. 1987 წელს ნელსონ პიკე, ხოლო 1989 წელს - გერპარდ ბერგერი. ბერგერმა მხოლოდ უკანასკნელ მომენტში, აფეთქებამდე რამდენიმე წამით ადრე მოასწრო მანქანიდან გადმოსვლა. 1994 წელს კი მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, როცა ლეგენდარული აირტონ სენა და როლანდ რატცენ-ბერგერი დაიღუპნენ. შეგახსენებთ, რომ სან-მარინოს გრან-პრი პირველად 1979 წელს გაიმართა. ზოგიერთი პილოტი იმოლას ატვოდრომს "სასაფლაოდ" მოიხსენიებდა.

ბერნი ეკლსტონუნმა გადაწყვიტა, რომ ევროპის ხარჯზე აზიური ბაზარი გაფართოოს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ევროპული გრან-პრის რიცხვი კიდევ შემცირდება. მომავალი წლიდან ფორმულა 1-ს თურქეთში ექნება დებიუტი. შემდეგ კი, სავარაუდოდ, კორეასა და ინდოეთში.

მიუხედავად იმისა, რომ რბოლების დაწყების დრო ევროპელებს მაინცდამაინც ხელს არ აძლევთ, ეს პრობლემა ბერნი ეკლსტონს ნაკლებად ადევნავს. ფორმულა 1-ის შეფმა გადაწყვიტა, ფსონს აზიელ მასურებელზე ჩავიდეს და არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ ამ ნაბიჯით მსოფლიოში გულშემატკივართა რიცხვი მხოლოდ გაიზარდება.

ამასობაში საავტორო ღრუბელი გროვდება სილვერსტონის ირგვლივაც. ეკლსტონის თქმით, ეს ტრასა დანგრეული საკუნძოლი მოგავიწყდება. იმისთვის, რომ რბოლა შეინარჩუნოს, სილვერსტონს სერიოზული რეკონსტრუქცია სჭირდება. იმდენადიღებში ეკლსტონს,

უბრალოდ, ძალიან აღიზიანებს ევროპელთა პოზიცია თამბაქოს რეკლამასთან დაკავშირებით. მოგესხენებათ, ამგვარი რეკლამა ევროპაში აიკრძალა. არადა, ფორმულა 1-ის ბიუჯეტის დიდი ნაწილი სწორედ ამ რეკლამის ხარჯზე ივსებოდა.

ესეც რომ არა, ამჟამად ევროპაში მაინცდამაინც დიდი ხალისით ფორმულა 1-ში ფულს აღარავინ დებს. ერთ-ერთ ინტერვიუში ბერნი ეკლსტონუნმა აღიარა: "რამდენიმე წლის შემდეგ ევროპული ქვეყნები თავისი განვითარებით მესამე სამყაროს ქვეყნებს დაუახლოვდებიან". ფორმულა 1-ის შეფმა განაცხადა, რომ ბოლო დროს სამყარო აშკარად ხედავს აზიასა და აშშ-ში ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს. ფორმულა 1 სპონსორებისთვის კვლავ მიმზიდველი ხდება. ცვლილებები შემოსავლების განაწილებაში და ლონისბიეტები, რომლებიც მიზნად ისახავს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯების შემცირებას, მხოლოდ ჩემპიონატის პროგრესირებასა და სიტუაციის გაჯანსაღებამდე მიგვიყვანს.

ის, რომ კლუბებში ბიუჯეტის სერიოზული დეფიციტი წარმოიშვა, ჯერ კიდევ მარმანდელ სეზონში გახდა ცნობილი. მაშინ მომხინფოდა ალტერნატიული ჩემპიონატის გამართვის გეგმა, სადაც Renault, Ford, DaimlerChrysler, BMW და Ferrari მიიღებდნენ მონაწილეობას. ეკლსტონუნმა დაშლის პროცესი შეაჩერა და ყველა გუნდს 10-10 მილიონი დოლარი ჩამოუორგა.

ამასთან, გაჩნდა ცნობები რუსეთში ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით. მოსკოვის ოლქის გუბერნატორის ბორის გრომოვის თქმით, ტრასა დმბიტროვის რაიონში აიგება. ამჟამად პროექტის დეტალური განიხილავენ. ფორმულა 1-ის მფლობელს თითქოს ყველაფერი აწყობს. გაზაფხულზე უნდა დასრულდეს იმ მიწის ნაკვეთის გაფორმების პროცესი, სადაც მომავალი ტრასა განლაგდება. იგი ინვესტორებს საკუთრებაში გადაეცემა.

TV-სპორტი


სამგზაბათი. 3 თებერვალი

HTB+ ФУТБОЛ 07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები 08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. ნელი 1984. პრეველი წრე. "PHILADELPHIA 76 ERS" - "NEW JERSEY NETS". მე-5 თამაში 10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება 13:00 თავისუფალი დარტცმა 13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი 14:00 იუნორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. აშშ - არგენტინა 15:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა 16:45 თავისუფალი დარტცმა 17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა 18:05 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები - ლიბერთადორესის თასი. ფინალი. "პოკ ხუნორის" (არგენტინა) - "სანტოსი" (ბრაზილია). პირველი მატჩი 20:00 "პოსტსკრიპტუმი" 20:30 "დარტცმა გოლისთვის" 20:45 სახვლიო ტელეპროგრამა 20:50 თავისუფალი დარტცმა 21:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა 22:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა 23:00 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "გლაზგო რიენჯერსი". შესვენებისას (23:50) - თავისუფალი დარტცმა 01:10 "პოსტსკრიპტუმი" 01:40 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ფინალი 03:00 03:00-დან 04:00-მდე შესვენება 04:00 NBA TV. დღიური 04:30 NBA TV. "DETROIT PISTONS" - "CLEVELAND CAVALIERS". პირდაპირი ტრანსლაცია

HTB+СНОРТ 11:00, 14:00, 20:15, 22:15 პრესცენტრი 11:15, 22:00 "ოლიმპის შეილები" 11:20, 14:15 აერობიკა 11:45 "რკინის ფაქტორი". მსოფლიო ჩემპიონატი ბოლიბილინგში. ესპანეთი. მე-2 ნაწილი

12:30 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე 13:00 სამთო სათხილავო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი 14:40 "ორმბათამდე მივატანო" 15:10 სამთო სათხილავო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ქალები. სუპერგიგანტი 16:10 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. პირველი ნაწილი. შესვენებისას (17:00) - პრესცენტრი 17:45 მულტისობა. საერთაშორისო შეჯიბრება. "რუსული ზამთარი - 2004" 20:30 "ბორის მაიოროვის არქივი" 21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი" 22:05 სახვლიო ტელეპროგრამა 22:30 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship" 23:40 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი 01:00 ახალი ამბები 01:15 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე 01:45 01:45-დან 04:00 შესვენება 04:00 პოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "BOSTON BRUINS" - "ATLANTA THRASHERS". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT 11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი 12:00 ფეხბურთი. ევროკოლეტი 13:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი 13:30 ფეხბურთი. აფრიკის ნაციონთა თასი 14:30 ფეხბურთი. ევროკოლეტი 15:30 სნუკერი 17:30 ფეხბურთი. აფრიკის ნაციონთა თასი 19:00 სნუკერი 21:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციონთა თასი 22:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. უნგრეთი 01:30 მულტისპორტი 02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი 02:30 ახალი ამბები 02:45 სნუკერი 04:15 ახალი ამბები



როყე ფედერერი და ყიუსტინ ენინ-არდენი გამარჯვებით ტკბებიან



REUTERS

ნასტან ნიჰარაძე

ნასტინა მიკოლიკივიჩი

რეპორტაჟები (ფოტო) კორიდარებით

ფრთხილად, ბავშვებია!

დღეს ისინი ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის პატიმრები არიან. თუმცა, პირველ რიგში, ისინი ბავშვები არიან. ბავშვები და შემდეგ უკვე არასრულწლოვანი დამნაშავეები. მათი ცხოვრება სხვანაირად რომ წარმართულიყო, ისინი აქ არ მოხვდებოდნენ. მაგრამ რეალობა უფრო სასტიკია - ისინი აქ რომ არ მოხვდებოდნენ, მათი ცხოვრება ნამდვილად სხვანაირად წარმართებოდა - წრე შეკრულია, სამწუხაროდ!

მათ მიერ «არჩეული გზა» თავისთავად გულისხმობს, რომ ადრე თუ გვიან იგი ციხეზე ან კოლონიაზე გაივლის. აქვე გაივლის ის არა ერთი წელი, რომელიც მათ სამუდამოდ დააბრუნებს ამ გზის შესაძლო ალტერნატივას. არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება ხშირად არ არის მზად, რომ მიიღოს და საზოგადოების სრულყოფილებიან წევრებად დაიბრუნოს ყოფილი პატიმრები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განსხვავებით, სხვა ქვეყნებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები ძალიან ბევრს აკეთებენ პატიმრების რეაბილიტაციისთვის. ქართული საზოგადოება ამისთვის მზად ვერ ნამდვილად არ არის. ეს კი ერთ-ერთი იმ მრავალ მიზეზთაგანია, რომელიც ავჭალის არასრულწლოვანი კოლონიის არა ერთ და ორ პატიმარს კიდევ არა ერთხელ და ორჯერ დააბრუნებს ან იგივე კოლონიის, ან ციხის კედლებში. არჩევანის არარსებობის პირობებში ეს ის არჩევანია, რომელსაც ისინი, სამწუხაროდ, დამოუკიდებლად გააკეთებენ.

გიორგი ასათიანისთვის კოლონიის დირექტორის თანამდებობზე ჩვენთან, როგორც პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა. ჩვენი ვიზიტიდან რამდენიმე დღის შემდეგ მან თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. ამჟამად კოლონიის დირექტორის მოვალეობას მისი მოადგილე ვასილ ბასილაშვილი ასრულებს.

კოლონიიდან აღმზრდელობით დაწესებულებაში

ავჭალის კოლონიის ახალი წელთაღრიცხვა 2002 წლის 30 მაისიდან იწყება. იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფინანსებული სამუშაოების დასრულების შემდეგ კოლონია განახლებული სახით და განახლებული სახელწოდებით პომპეზურად გაიხსნა ახალი დევიზით: «ჯანსაღი საზოგადოების მშენებელი სრულფასოვანი ახალგაზრდებით იწყება»(!) გახსნის ცერემონიალს ედუარდ შევარდნაძე დაესწრო. ახლა კოლონიას ოფიციალურად «ავჭალის აღმზრდელობით დაწესებულება» ეწოდება. თუმცა, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მას ისევ კოლონია ეძახიან.

კაპიტალური რემონტის შემდეგ კოლონიაში განახლდა ინტერიერი და გაუმჯობესდა პირობები. აქ განლაგებულია სკოლა, საძინებელი (რომელსაც უბრალოდ «ბარაკს» უწოდებენ); სამზარეულო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საშხაპეები, სამედიცინო ნაწილი, მოკლე და გრძელვადიანი პაემნების ოთახები. გაშენდა სკვერი და სპორტული მოედანი. ერთი შეხედვით, ავჭალის კოლონია ახლა ორგარსკვლავიან სასტუმროს უფრო ჰგავს და ნამდვილად აღარ შეესაბამება სტერეოტიპულ წარმოდგენებს არც ციხეზე და არც კოლონიაზე. თუმცა, ჯერჯერობით, არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ კოლონიის მართვის შიდა სისტემა შეიცვალოს; რომლისადმი იძულებითი მორჩილება უფრო მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ბავშვების პიროვნულ და მსოფლმხედველობრივ ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ყოფითი პირობების არარსებობა. არასრულწლოვანი პატიმართა უმრავლესობისთვის სწორედ სასჯელის გამოტანამდე ციხეში და სასჯელის გამოტანის შემდეგ უკვე კოლონიაში გატარებული დროის მანძილზე ყალიბდება «ღირებულებების» ის სისტემა, რომელიც «ქურდული გაგების» გზით საკუთარი ადგილის მოპოვისა და განმტკიცების საშუალება ხდება. სწორედ ამიტომ, გულბრწყინლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ არასრულწლოვანი პატიმრებისთვის კოლონიაში ყოფითი პირობების გაუმჯობესებას ავტომატურად მოჰყვება მათი პიროვნული მეტამორფოზა. კოლონიის სისტემაში მოხვედრისას ისინი მხოლოდ შორედებიან სრულფასოვან ახალგაზრდებად ჩამოყალიბების თეორიულ შანსსაც კი. ჯერჯერობით, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ ჩადენილი და-სრულიანისთვის კოლონიაში მოხვედრილი არასრულწლოვანი პატიმრები სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდნენ. თუ არ ჩავთვლით თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების

დაცვის სამსურის მიერ ორგანიზებული არა სისტემური ხასიათის ტრენინგებს... ისიც მხოლოდ სასჯელ-ალსრულების სისტემის თანამშრომლებისა და მასწავლებლებისთვის.

სწორედ ამიტომ კოლონიის დევიზი - ჯანმრთელი საზოგადოების მშენებლობა სრულფასოვანი ახალგაზრდებით იწყება - სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საკმაოდ აბსტრაქტულად და მეტიც, გროტესკულადაც კი უღერს. მათ უმრავლესობას საზოგადოება სამუდამოდ კარგავს, კრიმინალური სამყარო კი ახალ და ერთვულ წევრებს იძენს. ის ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანები მალევე ბრუნდებიან სასჯელალსრულების დაწესებულებებში, სწორედ იგივეს ამტკიცებს.

2001 წლამდე ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია ამიერკავკასიის მასშტაბით ერთადერთი იყო და მის კედლებში 300 არასრულწლოვანი პატიმარი იყრიდა თავს. ამავე წლის მარტში კოლონიის თანამშრომლების მოპოვებით უკმაყოფილო პატიმრებმა ბუნტი მოაწყვეს. ბუნტის შედეგად დარბეულ კოლონიაში პატიმრების გაჩერება შეუძლებელი გახდა. არასრულწლოვანთა კოლონია დროებით (ორი წლით) ხონის გადავიდა.

განახლებული კოლონია კი 150 პატიმარზეა გათვალისწინებული. თუმცა, დღეს მასში სულ 20 არასრულწლოვანი პატიმარია. პატიმართა ასაკი თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე მერყეობს. მათ, ვისაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ ათი, რვა და შვიდი წლის ვადით, სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ სასჯელის მოხდა ჩვეულებრივ კოლონიებში მოუწევთ.

ერთი პატიმარი კოლონიაში ჩვენი ერთ-ერთი ვიზიტის დღეს გათავისუფლდა. ქურდობისთვის გასამართლებული 16 წლის ე.პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე ბენიერი ტოვებდა კოლონიას. როგორც თავად გვეუბნება დამშვიდობებისას, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კოლონიაში აღარასდროს დაბრუნდეს. ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ იგი ხელცარიელი ტოვებს კოლონიის ტერიტორიას. არსებული ტრადიციის თანახმად, პატიმრებს კოლონიიდან პირადი ნივთებიც კი არ მიაქვთ - რომ აღარ დაბრუნდნენ. მხოლოდ შეწყალების დამადასტურებელი ორად ორი საბუთით ხელში, კოლონიის ჭიშკრის მიღმა ე-ს ბეზია ელოდება. ჩაფიქრებული სურვილი, რომ ახალ წელს სახლში ბეზიასთან ერთად შეხვდეს, მას სხვებისგან განსხვავებით, საბედნიეროდ, აუხდა.

ანრი კარტიე-ბრესონიდან ხონის კოლონიამდე

არასრულწლოვანთა კოლონიით ჩვენი დაინტერესება უკანასკნელ ცოცხალ სიურეალისტად ცნობილი, ფრანგი ფოტოგრაფის ანრი კარტიე-ბრესონის სახელს დაუკავშირდა და იმ ბერიოდს დაემთხვა, როდესაც ავჭალის კოლონია დროებით ხონში იყო გადატანილი.

2001 წლის მაისში საქართველოში ფრანგი დოკუმენტალისტების ჯგუფი და ფოტოგრაფი კლაუდი სლუბანი ჩამოვიდნენ. 1997 წლიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე კოლონიებში იგი რეგულარულად აწყობს ფოტოსახელოვნობებს არასრულწლოვანი პატიმრებისთვის. გადამღები ჯგუფის მიზანი იყო კლაუდი სლუბანის ხონის კოლონიის პატიმრებთან მუშაობის პროცესის ფორზე აღბეჭდვა. ეს მასალა სცენარის მიხედვით ანრი კარტიე-ბრესონისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმში უნდა შესულიყო.

ხონის კოლონიაში ჩასულებს არც გაკვირვებია, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ ანრი კარტიე-ბრესონის შესახებ კოლონიის პატიმრებმა არაფერი იცოდნენ. ხონში გატარებული სამუშაო დღეები ჩვენთვის ნამდვილად და ვიმედოვნებ, კოლონიის პატიმრებისთვისაც დაუვინყარ შთაბეჭდილებად და გამოცდილებად იქცა. ფოტოსახელოვნობის კლაუდი სლუბანის დახმარებით პატიმრებმა ფოტოების დიდი სერიაც გადაიღეს. კოლონიაში გადაღებული დოკუმენტური მასალა, ამავე როგორც პატიმართა ფოტოები, კარტიე-ბრესონის შესახებ ფილმში შევიდა.

ფილმის პრემიერა პარიზში 2001 წლის 6 ოქტომბერს შედგა ფოტოგრაფიის ევროპულ სახლში. ფილმის მეორე ჩვენება კი სპეციალურად არასრულწლოვანი პატიმრებისთვის, პარიზის გარეუბანში მდებარე არასრულწლოვანთა ციხეში Fleury-Merogis მოეწყო. ფილმის ასლი სპეციალურად გადაეცა ხონის კოლონიასაც. თუმცა, იგი პატიმრებს არ უნახავთ.


პირველად ჩვენ სწორედ ხონში აღმოვჩნდით არასრულწლოვანთა კოლონიის მკაცრი და დაუნდობელი



ხედი საერთო ბარაკზე



საკანი



დერეფანში



სასადილოში



საერთო ბარაკი



რეალობის პირისპირ, რამაც ჩვენზე, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად იმოქმედა. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ არასრულწლოვანთა კოლონიას კვლავაც დავეზრუნდებოდით და აუცილებლად მოვამზადებდით მასალას მის შესახებ; რაც კიდევ ერთხელ მოგვცემდა პატიმრებთან თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობის შესაძლებლობას.

სასჯელალსრულების დაწესებულებათა სისტემაში ერთერთ ყველაზე რთულად სამართავად სწორედ არასრულწლოვანთა კოლონია ითვლება. ავჭალის კოლონიის ყოფილი დირექტორი ჩვენთან საუბარში იმ ფაქტსაც იხსენებს, რომ თანამდებობაზე ახლად დანიშნულმა, როგორც ამ სისტემაში მუშაობის არმქონემ, თავის გამოცდილ კოლეგას სამომავლო რჩევებისთვის მიმართა. რჩევების მაგივრად მან მარტივი და მოკლე პასუხი მიიღო: გაიქცე აქედან! ერთი წლის თავზე გიორგი ასათიანი თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებას წერს.

უმთავრესი სირთულე კი ის არის, რომ სასჯელალსრულების ყველა სხვა დაწესებულებების მსგავსად, არასრულწლოვანთა კოლონია, ძირითადად, კოლონიის შიდა კანონების საფუძველზე იმართება. ეს კანონები თავისთავად პატიმართა სამყაროს საკმაოდ მკაცრ და დაუნდობელ ორგანიზაციას გაუტლისხმობს. არასრულწლოვანი პატიმრები, ერთი მხრივ, იძულებული არიან,

შესაძლებლობას. სიახლე არც ის არის, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებს ადმინისტრაციასთან ერთად, გასამართლებული კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ. გამონაკლისი არც არასრულწლოვანთა კოლონიაა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ახალი ავტორიტეტის არჩევა არასრულწლოვანთა შორის, ერთი მხრივ, კოლონიის ადმინისტრაციასთან და, მეორე მხრივ, სხვა კოლონიებში მყოფ «კანონიერ ქურდებთან» შეთანხმებით ხდება. სხვა მრავალ მოთხოვნასთან ერთად, ახალ ავტორიტეტს ისიც ევალება, რომ ადმინისტრაციასთან კარგი, ანუ თანამშრომლური ურთიერთობა დაამყაროს. სწორედ ამიტომ, კანონიერი ქურდები ხშირად ადმინისტრაციის მოსაზრებებსაც იზიარებენ თავიანთი კანდიდატურის შესახებ. შესაბამისად, ახალი «ავტორიტეტის» კანდიდატურა ორმხრივად მისაღები უნდა იყოს. ათწლებლების მანძილზე მოქმედი და გამოცდილი ეს სისტემა დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს ყველა სასჯელალსრულების დაწესებულებაში (მათ შორის, ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაშიც) და რეალურად სიტუაციის მართვის ერთადერთი მექანიზმია.

არასრულწლოვანი «ავტორიტეტი», რა თქმა უნდა, "ზევიდან" ანუ სხვა კანონიერი ქურდების მიერ იმართება. თავად იგი კი კოლონიაში "ანესრიგებს" ვითარებას და განსაზღვრავს, ვის რისი უფლება აქვს და ვის რისი უფლება არ აქვს.

მისი ცნობა კოლონიის რეალობაში ერთი შეხედვითაც მარტივია. ყველასგან განსხვავებით იგი კარგად არის ჩაცმული. მისი კუთხე საერთო ბარაკში განსაკუთრებულად კომფორტულად არის მოწყობილი: ხალიჩით, სარკით, ხატებითა და ჯვრებით კედელზე. აქვს მობილური ტელეფონი. ყველასგან მოშორებით, განზე დგას და შეხვედრისას საკუთარი პოზიციების თავისებურად დემონსტრირებას ცდილობს. უნდობლად გვათვალისწინებს. დანარჩენებში მის რეაქციას ელოდებიან. მის გაშვებში მხოლოდ ისინი ტრიალებენ, ვინც კოლონიის იერარქიულ სისტემაში ასევე ძლიერ პოზიციებს ფლობენ.

გ. ტუნადა ამბობს ერთ-ორ სიტყვას. რა თქმა უნდა, ეჭვის თვალით უყურებს ფოტოაპარატს და ჩართულ დიქტოფონს. ფოტოების გადაღებას გეიკრძალავს. მისი სიტყვა კანონია - სხვებიც უარს ამბობენ გადაღებაზე. მეტიც, ამბობს, რომ თუ ფოტოებს გადავიღებთ და საუბარს ჩავენერთ, ფირი და კასეტაც მას უნდა დავეტოვოთ. თუმცა, გულუხვად გვიმასპინძლებს - ყავით და ნამცხვრებით. ჩვენ მის ტერიტორიაზე ვართ, ამიტომ ვიღებთ მისი თამაშის წესებს. თუმცა, არ გვაყინვდება, რომ იგი მხოლოდ 17 წლის არის.

გადაღებაზე კი მხოლოდ ისინი თანხმდებიან, ვისაც დასაკარგი უკვე აღარაფერი აქვს. მათ კოლონიაში, უბრალოდ, "ქათამებს" ეძახიან. საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, საქმეში ჩახედილებისთვის კი - საკმარისზე მეტს.

"ქათამი" ხდება ის, ვინც სასჯელს გაუპატოვრებისთვის იხდის. ისევე, როგორც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პატიმარი. ციხეში და კოლონიაში მოხვედრით ისინი გაცილებით უფრო მძიმე საარსებო და მათდამი განსაკუთრებულად მკაცრი დამოკიდებულების პირობებში ხვდებიან.

მათ არ აქვთ საერთო ბარაკში არც ცხოვრების და არც უნებართვოდ შესვლის უფლება. მათ არ აქვთ სხვა პატიმრებთან ერთად სასადილოში ჭმის უფლება. არც საერთო საშხაპით და საპირფარეოთი სარგებლობის უფლება. მათ არ აქვთ სხვებთან ერთად გაკვეთილებზე დასწრების უფლება. მათ არც სიტყვის უფლება აქვთ. მათ არაფერს უფლება აქვთ. სამაგიეროდ, ყველა აქვს უფლება, ისინი დაჩაგროს, უმიზეზოდაც კი, უბრალოდ, საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. მათ ევალებათ საერთო ბარაკის, საშხაპების და საპირფარეოების დალაგება. მათ ბევრი და მძიმე სამუშაოს შესრულება უწევთ. მათთვის სპეციალურად არის გამოყოფილი ერთი საკანი, რომელშიც სძინავთ. იმ საკანში საერთო ბარაკიდან არავინ შედის.

ამჟამად ავჭალის კოლონიაში ისინი ოთხნი არიან. წლების მანძილზე მათ არავინ არასდროს აკითხავთ. ერთ-ერთი იმითავეანია, ვინც ჩვენ ჯერ კიდევ 2001 ერთი წლის მაისში ხონის კოლონიაში გავიცანიეთ. იმ საში წლის მანძილზე, რაც ჩვენ იგი არ გვინახავს, მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა იმის გარდა, რომ იგი გაიზარდა. ჩვენი მისვლისთანავე, პატივისცემის ნიშნად იგი ახალ სპორტული ფორმას იცმევს. ეხვრ ჩვენ და ვერც იგი ვერ ვფარავთ მოულოდნელი შეხვედრით გამოცხადებულ სიხარულს. ერთად ვიხსენებთ, რომ ხონის კოლონიაში იმპროვიზირებულად მოწყობილ ფო-

თამაშის წესები

წესები მარტივია, თამაში სასტიკი, მოდელი კი კარგად ნაცნობი. იგი ერთნაირი წარმატებით (თუმცა ფუნქციონირების განსხვავებული ძლიერი. თუმცა, ძლიერი ციხეში მხოლოდ ის არის, ვისაც იმავე დროს სასტიკიც შეუძლია იყოს. მასვე აქვს ავტორიტეტი.

დღემდე არსებული საბჭოთა სტილის ე.წ. "კოლონიათა" სისტემა თავისთავად გამორიცხავს ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულების სრული კონტროლის რეალურ

მარტოხელა ქალბისთვის

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს, ბორის ბეკერს, პოპულარობაში ეჯიბრებიან – მისი ყოფილი მეუღლე, ბარბარა ფელტუსი, საკუთარი ტელეგადაცემით გადის ეთერში.

“ზიუდლოჩე ცაიტუნგის” ცნობით, ბორისი გერმანიის სპორტული არხისთვის ინტერვიუ-შოუს მართავს, ფელტუსი კი მარტიდან Pro7-ზე თავის გადაცემას გაუძღვება. ბარბარა დიზაინერ-

ბთან და ინტერიერის არქიტექტორებთან ერთად მარტოხელა ქალების ყოფის გაუმჯობესებაზე, მათი ცხოვრების გალამაზებაზე იზრუნებს. ყოველ გადაცემაში ასეთი ბედნიერება ოთხ ქალს დაატყდება ხოლმე თავს. მათ ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ერთად ახალ მამაკაცებსაც გააცნობენ – იქნებ, რომელიმე მინც ივარგოს.

ფრადი ბრიტნის მისტიკის

ბრიტნი სპირსის სკანდალური ქორწინების ამბავი ყველას პირზე აკერია, მაგრამ არაფერს ფიქრობს იმაზე, რომ ბრიტნზე შეყვარებული მამაკაცის გრძობებსაც გაფრთხილება სჭირდება.

ამერიკული როკ-ჯგუფის, Limp Bizkit-ის წევრი, ფრედ დასტი, ძალიან გულდანყვეტილია, რომ ბრიტნი სპირსთან ურთიერთობა აღარ აქვს. “ასეთ დასასრულს არ ველოდი. იმედგაცრუებული ვარ და, ალბათ, ამიერიდან ძალიან გამიჭირდება ვინმეს ნღობა,” დაიჩივლა მუსიკოსმა. “ყველაფერი ძალიან ცუდად მოხდა, ძალიან დაგიბენი”.

დასტავა “ბილდ ამ ზონტაგს” ამცნო, რომ ცოლის მოყვანა უნდა. “იმას აღარ ველი, რომ ვინმესთან სულიერი სიახლოვე მექნება. მინდა, რომ საკუთარი თავი ვინმეს მივუძღვნა, ისეთ ვინმეს, ვინც ცხოვრების ბოლომდე ჩემთან იქნება და არ მილაღატებს”.

ფრედს ორი შვილი ჰყავს ორი სხვადასხვა ქალისგან. უნდა ითქვას, რომ არც ერთთან არ ცხოვრობს.

პრინცესას მოლოდინი

ჰაიდი კლუმი ყოველ ინტერვიუში ამბობდა, რომ ქალიშვილზე ოცნებობს. პრაქტიკულმა მოდელმა ეს იმით დაასაბუთა, რომ სხვაგვარად “დედიკოს კარადაში ჩამწკრივებული დიზაინერული შედეგები აფსუსი იქნებოდა”.

ჰაიდის ეედრება უფალმა ისინა. კლუმის მამამ, გიუნტერმა, გაზეთ “ბილდს” ამცნო: “დიახ, გოგონაა”. ამამა ბაბუამ განაცხადა, რომ მაისის დასაწყისში შვილიშვილი ეყოლება, და დედამისი მისთვის ნიუ იორკის ახალ ბინაზე ზრუნავს.

ჰაიდი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ორსულადაა და თავს უფრთხილდება, ვირტუალურ სამყაროში აგენტის წინააღმდეგ იბრძვის – ახალ კომპიუტერულ თამაშში, “ჯეიმს ბონდი 007: ყველაფერი არაფერია” ის ერთ-ერთი მებრძოლის, დოქტორ კატია ნადანოვას როლშია წარმოდგენილი.

ბრიტანული სახელმწიფო-ფარმაცევტული კომპანია "გლასტონბერის" წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს წარმომადგენლობის უფინანსური ანგარიშის ვაკანსიურ თანამდებობაზე (1 ადგილი)

აუცილებელი მოთხოვნები:

- უნივერსიტეტის დიპლომი / ხარისხი უცხო ენების პროფილით.
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა.
- წერილობითი და ზეპირი თარგმანის პროფესიულ დონეზე შესრულება.

- MS Word, Excel, PowerPoint, Outlook Express, Internet, E-mail-ის პროფესიულ დონეზე ფლობა.

- საოფისე ტექნიკის (ფაქსის, ქსეროქსი, შიდა სატელეფონო ქსელი) მართვა.

- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები.

- კომუნიკაბელური, თავდაჯერებული.

- 2-3 წლის სამუშაო გამოცდილება მსგავს პოზიციაზე.

ავტობიოგრაფია, CV, უნივერსიტეტის დიპლომის ასლი, ორი სარეკომენდაციო წერილი და ბოლოდროინდელი ფოტოსურათი 3X4 გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით: nana@gsk-caucasus.ge

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 25 08 14; 25 24 92
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 13 თებერვალი, 18.00 სთ.

პალანგის დღესთან დაკავშირებით, ჯეოსელი გთავაზობთ

სიყვარულის ახლის რეკონსტრუქციის კომპლექსი

1-დან 10-თებერვალამდე, მოქალაქეებთან შეხვედრის მიზნით აკრიფეთ სასიყვარულო წერილი და გააგზავნეთ ნომერზე-14.

14 თებერვალს საკუთარ წერილს გათავსდება ჯეოსელის სარეკონსტრუქციო ცენტრში.

სიყვარულის ქალი ჯეოსელი!

1 ნაბიჯი სიყვარულში - 6 თითქმის (გვერდობრივი SMS-ის ზარი) www.geocell.ge

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლის დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სწავლებას.

ინს სანდრონი პროგრამები:

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგანმანათლებლო (IELTS, TOEFL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებლობა 2-4 კვირიანი სავალდებულო კურსები.
- სწავლული სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასკვნა მოსწავლეთათვის და მოწოდებით 2 კვირიდან 3 თვემდე (ვალდებულების დაკომპლექტება 1 მთლიანად).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერტიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

სანდრონი პროგრამის პროგრამები:

- A-Level 10-11 კლასებისათვის და სკოლადაპტირებული 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადაპტირებული 1 წლით, MBA 6 თვიდან 1 წლამდე, 21 წლიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

თამაჯოს მწველობის შეწყვეტის მსურველთათვის!

პირველად საქართველოში მოსკოვის ჯანმრთელობის საერთაშორისო ცენტრი და ჰუმანიტარული ორგანიზაცია ADRA-Georgia, აშშ პროგრამით "ისუნთქე თავისუფლად" 10-13 თებერვალს ატარებს მწველობის შეწყვეტის სამკურნალო-პროფილაქტიკურ კურსს.

ბარნოვის ქ. N83 T-773812/14, 226076.

ინტიმუმიტი

მომილარი 700 822 009 108
რამონი 700 822 009 008
თბილისი 500 822 009 088
18 წლიდან 822 009 088

სწავლა ლონდონში

საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი

ტექნოლოგია და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობს მოსამზადებელ პროგრამებს დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების ცენტრში (ლონდონი) კამბრიჯში, ბრაიტონში, ეს იმ ადგილია, სადაც ლონდონის უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამები (გერმანიული, საბჭოური) უნივერსიტეტთან ერთად, ხელს პროგრამის მიერ მოსამზადებელ პროგრამებს (გერმანიული, საბჭოური) უნივერსიტეტთან ერთად, პროგრამები ცხადდება წელნადმი საბჭო (სოფლის / აბრე / აფრეტი). მოწოდებული დანებების თარიღი 2004 წლის 3 აპრილი.

MBA **მაკაბინი / უინანაი / IT**
MSc **კლასიკური კომპიუტი / HRM**
კომპიუტერული პროგრამები
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინფორმაციის ინჟინერია

სწავლის კარგი ფასი
£3950
სანაკრებო ფასი

ბონუსის ან ბონუს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების დარგებში საქართველოს ხარისხის მოსამზადებელ 2-წლიანი დაქვრებული კურსის - BA (Hons) მიღების ღირებულება £ 3950.

ჯამით აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია თანაგზირებლად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზუსტადინფორმული პროგრამებით სწავლებენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გაცემა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 ჯანდახის შესაღწევად.

იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი ეფექტური მოსწავლე არა აქვთ, ხელმძღვანელობა მოსამზადებელი პროგრამების.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინა მენდინი / ტექნოლოგია და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მჭედის ქ. საგარბათო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ: 899-352067
E-mail: stmgorgia@hotmail.com
www.stmiondon.co.uk

საბავშვო გაზეთი 12-აგა
ბავშვთა ბიზნისის გამარჯვებული ნომერი

08005839
08000566
08005934
08004426
08002964
08000010
08002262
08001055
08001979
08002814

ნამალი "სალხინო"
ქართული ფლორის სოციალიზაცია

თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტატიტს, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდ-გა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვერდის ბაგეთა მინეგება, სუნი ან გამო-ნადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნადვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპტიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოლოგიის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აკრობს პირის ღრუდან უსამოვნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ღირებულებას.